# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 149 (169) ოთხშაბათი, 31 ივლისი, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი


## საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოს

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, გაეცნო რა სსრკ უზენაესი საბჭოს მიმართვას ესტონეთის, საქართველოს, ლატვიის, ლიტვის, მოლდოვეთისა და სომხეთის უზენაესი საბჭოებისადმი, საჭიროდ მიაჩნია კიდევ ერთხელ გამოხატოს თავისი პოზიცია სსრ კავშირთან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის პრინციპებთან დაკავშირებით.

კარგად ვიცით, რაოდენ მყარია პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები საქართველოსა და საბჭოთა კავშირს შორის. საქართველოში დარწმუნებული არიან, რომ მომავალში ეს კავშირები უნდა განვითარდეს ახალ საფუძველზე [illegible] ერების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შედეგად შეიქმნა. მაგრამ გვჯერა, რომ ამას მხოლოდ ორივე მხარის სუვერენიტეტისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე შეიძლება მივაღწიოთ. [illegible] იდეოლოგიური და სხვა დაბრ- [illegible] კოლექტივების გარეშე [illegible] ერის სულიერ ღირებულებებს, ყველაზე მეტად უწყობს ხელს მჭიდრო კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, ეყრდნობოდა რა ქართველი ხალხის მიერ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე გამოხატულ ნებას, გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. [illegible] საბჭოთა კავშირთან [illegible]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს [illegible] საბჭოთა კავშირის [illegible] ურთიერთობის [illegible]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომ მზად არის ნებისმიერ დროს მიუჯდეს მოლაპარაკების მაგიდას საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობასთან. [illegible] სახელმწიფოებს შორის [illegible] ერთიანობის [illegible]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

თბილისი. 1991 წლის 25 ივლისი

საქართველოს რესპუბლიკის

# კანონი

### საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

I. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 38-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება, [illegible] სამუშაოს თავისუფალი არჩევის [illegible] შრომის [illegible] ანაზღაურების [illegible] უმუშევრობისაგან დაცვის [illegible]".

2. 58-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

II. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 25 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

# დადგენილება

### „დასაქმების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. „დასაქმების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს [illegible] (მუხლი 18-24) — 1991 წლის 1 სექტემბრიდან.

2. კანონის ძალაში შესვლამდე [illegible]

3. დადგინდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე [illegible]

4. დადგინდეს, რომ [illegible]

5. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ: [illegible]

1991 წლის 1 ივლისიდან [illegible] 3 პროცენტის შედგენს. [illegible]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 25 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

# დადგენილება

### „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 25 ივლისი.

## ინტერვიუ

# აღმართი ღირსეულად უნდა ავიაროთ!

ამ დღეებში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ბატონმა თენგიზ სიგუამ ინტერვიუ მისცა საქართველოს ტელერადიოდეპარტამენტის კომენტატორს მერაბ ბერაძეს. გთავაზობთ ამ ინტერვიუს ჩანაწერს.

**— ბატონო თენგიზ! ჩვენი საუბრის დასაწყისში, თქვენი ნებართვით, თქვენი ოჯახის ერთი რელიქვია მინდა გავანდო საზოგადოებას — სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ თქვენი ოჯახი სრული შემადგენლობით დაესწრო ქართველი ერის საამაყო შვილის, ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის დაკრძალვას. ეს კი იმ ხანად ძალიან დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ ერმა უნდა იცოდეს, ვინ, რომელი ოჯახის შვილი უდგას სათავეში რესპუბლიკის მთავრობას.**

— დიახ, ეს იყო 1947-48 წლები, როდესაც მამა, პროფესიით ექიმი მოვიდა სახლში და თქვა, დღეს საღამოს ჩვენთან ბატონი ექვთიმე მოვა, მას სმენა აქვს დაქვეითებული და მკურნალობა ესაჭიროებაო. ბატონი ექვთიმე ჩვენთვის ციდან ჩამოსული ღმერთი იყო და რაოდენ დიდი იყო ჩვენი გაოცება, როცა ეს ლეგენდარული ადამიანი გვეწვია და ბავშვებმა მის ძველ კოსტუმს შევავლეთ თვალი — მას პიჯაკის სახელოებიდან ძაფები მოუჩანდა. ეს ღრმად ჩაიბეჭდა ჩვენს მეხსიერებაში. შემდეგ ხშირად მოდიოდა ჩვენთან ბატონი ექვთიმე და მისი მოსვლა ჩვენთვის ნამდვილი ზეიმი იყო. მე ვთვლი, რომ იგი ილია ჭავჭავაძისა და დიდი ივანე ჯავახიშვილის გვერდით უნდა დავაყენოთ. მეორე, რაც მე ძალიან კარგად მახსოვს, ეს მისი დაკრძალვა იყო. მამამ წინასწარ გაგვაფრთხილა, ყველანი მოვემზადეთ და წავედით ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის ცხედართან გამოსამშვიდობებლად. ახლაც მახსოვს, დაკრძალვას დიდი-დიდი ორმოცი, ორმოცდაათი კაცი თუ ესწრებოდა და რაოდენ პარადოქსულია ის ფაქტი, რომ მერე მე მომეცა საშუალება დავსწრებოდი ბატონ ექვთიმეს მეუღლის ქალბატონ ნინო პალტარაცკაიას დაკრძალვასაც და ვნახე, რომ იგი ათასჯერ მეტმა ადამიანმა მიაცილა საფლავამდე.

**— ეს მაშინ ბატონი რეზო თაბუკაშვილის დამსახურება გახლდათ...**

— დიახ, ბატონ რეზოს ვუმადლით. მან გადმოასვენა ქალბატონი ნინოს ნეშთი და იგი ბატონ ექვთიმეს გვერდით დაკრძალეს. მაგრამ ვიმეორებ, ეს უზარმაზარი პარადოქსი იყო. თვით თაყაიშვილის დაკრძალვას თითზე ჩამოსათვლელი ხალხი დაესწრო, მისი მეუღლისას კი საოცრად ბევრი. აი, სწორედ ეს არის სავალალო და გულდასაწყვეტი.

**— ბატონო თენგიზ, ჩემგან არ გეწყინებათ, თუკი ბოლომდე გულწრფელნი არ ვიქნებით, მაყურებელი სხვა არხზე გადართავს ტელევიზორს. ამ რამდენიმე ხნის წინათ სწორედ ამ კაბინეტიდან დავპირდით საზოგადოებას, რომ ცოტა ხანში ხორცი და კარაქი გამოჩნდებოდა მაღაზიებში. გავიდა დრო და ხორცი თვალით არ გვინახავს, ხოლო კარაქის ფასმა, შეიძლება ითქვას, მსოფლიო რეკორდი დაამყარა. 28-30 მანეთი... ამას ვამბობ, და იქვე ვამატებ, შესანიშნავად მესმის, რომ ძალიან ბევრი გვყავს ხელის შემშლელი და ძალიან ცოტა — ხელის შემწყობი...**

— სწორი ბრძანდებით! ჩვენ მართლა დავპირდით ხალხს ამ საკითხების მოგვარებას. მას შემდეგ კი სამი თვე გავიდა. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი ხელშეკრულება ძალაშია. ამ დღეებში მივიღე ტელექსი კანადიდან — ფირმის ხელმძღვანელი ბატონი კანიამა გვატყობინებს, რომ ექვსი ათასი ტონა ხორცი, სამი ათასი ტონა კარაქი და ათასი ტონა მშრალი რძე უკვე მზად არის გამოსაგზავნად. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ბიუროკრატიული მექანიზმი ისევ მუშაობს — ცენტრი ყოველნაირად ცდილობს კონტრაქტის ხელის შეშლას. ახლა იმას იმიზეზებს, რომ აკრძალულია ბარტერული გაცვლები. არა და ამ კონტრაქტში სწორედ ბარტერული გაცვლების იდეაა ჩადებული. მაგრამ მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ მიზანს და ამ პროდუქტებს შემოვიტანთ. გარდა ამისა, უკვე გაფორმებულია ხელშეკრულებები სხვადასხვა სახელმწიფოებთან და ვიმედოვნებთ, რომ ამ შემოდგომისთვის მდგომარეობა თუ სრულად არა, ნაწილობრივ მაინც უნდა გამოსწორდეს.

**— დავიიმედოთ თავი იმით, რომ ჩვენი შემდგომი შეხვედრის დროს ეს საკითხები აღარ შეგვაწუხებს?**

— მაგის გარანტიას, ჩემი დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ მოგცემთ. მდგომარეობა ძალიან რთულია, როგორც იცით, ჩვენ ჯერჯერობით საბჭოთა კავშირის ერთიან ეკონომიკურ რგოლში ვართ გაერთიანებული და ამ კავშირების ერთბაშად გაწყვეტა წარმოუდგენელია. ამიტომ საკმაოდ დიდი სირთულეები გვექმნება, მაგრამ ვიმეორებ, ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ მაქსიმალურად შევუმსუბუქოთ ჩვენს ხალხს ეკონომიკური მდგომარეობა.

**— ბატონო თენგიზ! თქვენ ამ ბოლო დროს ძალზე ბევრი მიწვევა გქონდათ უცხოეთში და ამათგან საფრანგეთი ამოირჩიეთ, კონკრეტულად კი სტრასბურგი. ევროპარლამენტის სხდომა. მოკლედ ხომ არ გვეტყვით, რა ორგანიზაციაა ეს და რა ფუნქციები გააჩნია?**

— მოგეხსენებათ, ევროპარლამენტი შეიქმნა ევროპის ექვსი სახელმწიფოს ბაზაზე. მასში თავიდან შევიდნენ: ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი და ინგლისი. ამჟამად იგი აერთიანებს ევროპის თორმეტ სახელმწიფოს. მათ შორისაა: ჰოლანდია, დანია, საბერძნეთი, პორტუგალია, ესპანეთი. ამჟამად ეს გახლავთ მეტისმეტად ავტორიტეტული ორგანო, რომელშიც როგორც მოგეხსენებათ, ევროპის თითქმის ყველა ინდუსტრიალურად განვითარებული სახელმწიფოა თავმოყრილი. ევროპარლამენტს სხვადასხვა მიზნები აქვს: როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური. პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებებს ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა საკითხების მოსაგვარებლად. პარლამენტში თერთმეტი კომისია მუშაობს. ჩვენ მივიღეთ მოწვევა, რისთვისაც უღრმესი მადლობა უნდა მოვახსენო პარლამენტის დეპუტატს ბატონ ქრისტიან როკტინგს, აგრეთვე ცნობილ მეცნიერს, მსოფლიოს ასტრონომთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს ბატონ რიხარდ ვესტს, რომლებიც დაგვეხმარნენ, რათა ევროპარლამენტს ფართოდ გაეღო კარები ჩვენთვის. ეს მიწვევა ფრიად საპატიო იყო და დელეგაცია სამი ადამიანის შემადგენლობით სტრასბურგს გაემგზავრა. დელეგაციაში ჩემს გარდა იყვნენ: მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრის მოადგილე ბატონი მერაბ კლიმიაშვილი და ასოციაცია „ლილოს" გენერალური დირექტორი ბატონი გიორგი თოფაძე. მეტად დატვირთული პროგრამა წინასწარ იყო შედგენილი. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი დღის განმავლობაში ჩვენ უნდა შევხვედროდით ევროპარლამენტის პრეზიდენტს ბატონ კრესპოს, ევროპარლამენტის ყოფილ პრეზიდენტს, კომისიების თავმჯდომარეებს და საბოლოოდ უნდა გამოვსულიყავით ერთ-ერთი დიდი დემოკრატიული კომისიის სესიაზე. დაგეგმილი იყო პრესკონფერენციები. მე პირადად დიდებითად ვაფასებ ამ ვიზიტს — ჯერ ერთი, რომ პირველად მოგვეცა საშუალება, გამოვსულიყავით ევროპარლამენტის სესიაზე, სადაც ჩვენის მოთხოვნით, მოხსენება ქართულ ენაზე წავიკითხე და იგი სინქრონულად ითარგმნებოდა ინგლისურად. მე ვიგრძენი, რომ საკმაოდ კარგი და თბილი განწყობა სუფევდა ჩვენს მიმართ და დარწმუნებული ვარ, რომ ამ ვიზიტს კეთილი შედეგები უნდა მოჰყვეს ჩვენი რესპუბლიკისათვის. იქვე გადაწყდა, რომ ივლისის ბოლოს, ჩვენთან ჩამოვა ევროპარლამენტის დეპუტატი ბატონი როკსტინგი, რომელიც წინასწარ გაეცნობა ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, ხოლო ამის შემდეგ სექტემბერში ან ოქტომბერში ჩამოვა ჯგუფი დეპუტატებისა, რომლებიც უკვე ღრმად შეისწავლიან ჩვენში არსებულ ვითარებას. ვიმედოვნებთ, რომ ამ ვიზიტის შედეგად ევროპარლამენტი განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური დახმარების საკითხს. გარდა ამისა, ჩვენ მოგვეცა საშუალება, რომ უახლოეს პერიოდში დაისვას საკითხი იმის თაობაზე, რომ საქართველოს მიეცეს უფლება, მეთვალყურის სტატუსით წარსდგეს ევროპარლამენტში.

ეს ძალიან დიდი გამარჯვებაა. ჩვენს დელეგაციაში, როგორც აღვნიშნე, გახლდათ ბატონი მერაბ კლიმიაშვილი და ალბათ საინტერესო იქნება მისი აზრი ამ ვიზიტის თაობაზე.

**— ბატონო მერაბ, გთხოვთ:**

— ევროპარლამენტში ჩვენი ვიზიტის შესახებ მე მგონი საკმაო ინფორმაცია მოგაწოდათ ბატონმა თენგიზმა, მე მხოლოდ რამდენიმე მომენტს მინდა გავუსვა ხაზი — დემოკრატიული კომისია, რომელზეც ბატონი თენგიზი გამოვიდა, გახლდათ საკრებულო, რომელზეც ა. წ. მარტში მოხსენება გააკეთა ბატონმა ბორის ელცინმა, რუსეთის დღევანდელმა პრეზიდენტმა, ჩვენს წინ კი ბატონმა ვიტაუტას ლანდსბერგისმა. მინდა კვლავაც გავუსვა ხაზი ამ კომისიის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას და გავლენას მთელს ევროპაში. აუცილებლად მიმაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ ევროპარლამენტის კომისიამ ტაშით გამოაცილა ჩვენი დელეგაცია. როგორც შემდეგ გვითხრეს აღმოსავლეთ ევროპის სპეციალისტებმა და ექსპერტებმა, ეს უპრეცედენტო შემთხვევა გახლდათ. საქართველოსათვის, ჩემის აზრით, ეს იყო ისტორიული დღე, რადგან საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე გამოვიდა ევროპის ქვეყნების ყველაზე უმაღლეს ფორუმში და გამოვიდა ქართულად.

**— ბატონო თენგიზ! უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობა რომ არის დამყარებული, მოსახლეობამ ჯერჯერობით იქიდან შემოტანილი ქილის ლუდით, საღეჭი რეზინით და უცხოური სიგარეტებით შეიტყო. ცოტა სხვა მხრიდან ხომ არ მივუდექით საქმეს?**

— არა, ბატონო მერაბ, რაც თქვენ ბრძანეთ, ეს სახელმწიფო ვაჭრობას არ შემოუტანია. ეს ცალკეული კოოპერატივების, ასოციაციების ინიციატივითაა. სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების ძირითადი საზრუნავი მოსახლეობის საკვები პროდუქტებით მომარაგება გახლავთ. მაგრამ კვლავაც მიწევს გამეორება, რომ ამ მხრივ ძალიან რთული მდგომარეობა გვაქვს. საქმე იმაშია, რომ დღეს, ჩვენ, ბევრ სხვა რამესთან ერთად, ძალიან გვიჭირს მოსახლეობისა და მრეწველობის უზრუნველყოფა ისეთი აუცილებელი პროდუქტით, როგორიც შაქარია. დღემდე, როგორც მოგეხსენებათ, შაქარს გვაწოდებდნენ ძირითადად უკრაინიდან. მაგრამ თვით უკრაინაც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან ცენტრიდან მას უნდა მიეღო ორი მილიონ ორასი ათასი ტონა შაქრის ნედლეული, რომელიც თავის მხრივ კუბიდან უნდა შემოსულიყო. ფაქტობრივად უკრაინაში შემოიტანეს მხოლოდ 600 ათასი ტონა და დღეს იქ ქარხნები პრაქტიკულად გაჩერებულია. სამწუხაროდ, უახლოეს პერიოდში ვერც ვხედავთ რაიმე სასიკეთოს. ამიტომ ჩვენ აქტიურად ვეძებთ გზებს, რათა ეს პრობლემა სხვა გზებით გადავჭრათ. არის რამდენიმე პერსპექტიული მოლაპარაკება და დარწმუნებული ვარ, რომ შაქრის დიდ დეფიციტს როგორღაც მოვუღებთ ბოლოს.

**— ამ რამდენიმე დღის წინათ ლენინგრადში გახლდით, მიმიღო ქალაქის მერმა ანატოლი სობჩაკმა და ინტერვიუც ჩამოვართვი. [illegible] აქვე გაირკვა, რომ იგი ყოველ ორშაბათს ტელევიზიის ცოცხალი ეთერით გადის და მოსახლეობას როგორც გაკეთებულზე, ისე მომავლის გეგმებზეც ესაუბრება. მუშაობის ეს ფორმა, ვფიქრობ, ბევრ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხსაც.**

— ეს პრაქტიკა უთუოდ ჩვენთვისაც მისაღებია. კაბინეტის სხდომაზე გადავწყვიტეთ, რომ მინისტრებმა რეგულარულად მიიღონ მონაწილეობა ტელეგადაცემებში, რათა უფრო ახლო კონტაქტი დამყარდეს ჩვენს მოსახლეობასთან და უფრო მეტად იყოს იგი ინფორმირებული მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის შესახებ.

**— ამ დღეებში საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა საქართველოს უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების კომისიის თავმჯდომარე ბატონი გივი თაქთაქიშვილი და საკმაოდ ვრცლად ისაუბრა მეწარმეობის შესახებ. ფაქტია, რომ მეწარმეობის გარეშე ჩვენი რესპუბლიკა ფეხზე ვერ დადგება. რა ეტაპზეა ახლა ეს კანონი?**

— აქ ცალსახად შეიძლება პასუხი — კანონი აუცილებლად იქნება მიღებული. ეს კი, რასაკვირველია, ფართოდ გაუხსნის კარებს მეწარმეობას, რაც ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალა იქნება ჩვენი ეკონომიკის გასაჯანსაღებლად.

**— როცა ქართველ კაცზე საუბრობენ, უპირველესად მის ნიჭს და უნარს უსვამენ ხაზს. აქედან გამომდინარე, თითქოსდა არ უნდა გვიჭირდეს საკადრო პოლიტიკის სწორად გატარება. მაგრამ სავალალოდ როგორც სხვაგან, აქაც მრავალი მოუგვარებელი პრობლემაა. ზოგიერთმა [ხელმძღვანელმა კი პირდაპირ ყელში დანა გამოგვისვა. ცხადია, რომ ასეთ შეცდომებს ის პირები სჩადიან, რომელთაც არა აქვთ სათანადო გამოცდილება, განათლება და მომზადება.**

— დიახ, ბატონო მერაბ, აქ ძალიან ბევრი შეცდომებია დაშვებული. ზოგ შემთხვევაში შერჩეული კადრები ვერ პასუხობენ მოთხოვნებს. მხედველობაში მაქვს მათი კვალიფიკაცია. ამ ცოტა ხანში უკვე ხუთი მინისტრი შეიცვალა, უნდა გითხრათ, რომ როცა კადრების საკითხი დადგა დღის წესრიგში, მაშინ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ბრძანა, რომ ისინი ყველა გამოსაცდელი ვადით ინიშნებოდნენ. მე, მაგალითად, არ მიკვირს, რომ ყველამ ვერ გაამართლა იმედები და ეს კანონზომიერად მიმაჩნია. უნდა გითხრათ, რომ ახლო ურთიერთობა მაქვს ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, ყაზახეთის, თუნდაც რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელებთან და იქაც ხშირია ასეთი კატაკლიზმები. გარდამავალ პერიოდში ძნელია ჩამოყალიბებული მთავრობის შექმნა.

**— ბატონო თენგიზ, ისევ კადრების საკითხი. ცნობილი ჭეშმარიტებაა, როცა თქვენ თვითმფრინავში ხართ, პირველ ყოვლისა, ის გაინტერესებთ, თუ ვის ანდეთ თქვენი სიცოცხლე. ამ შემთხვევაში მფრინავზეა ლაპარაკი. აქედან გამომდინარე, დავასკვნით, რომ ხელმძღვანელს ძალიან ბევრი შეუძლია. სულ ცოტა ხნის წინათ, საქართველოს მრეწველობის მინისტრმა ბატონმა გივი აბდუშელიშვილმა შეძლებისდაგვარად ჩამახედა სამინისტროს საქმიანობაში და მომავლის გეგმებში. თუკი ჩემს ჟურნალისტურ ინტუიციას ენდობით, შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ საქართველოს მრეწველობას საიმედო ლიდერი ჰყავს — ჭკვიანი, განათლებული და ძალზე ერუდირებული პიროვნება, რომელსაც ძალზე დიდი საქმეები ხელეწიფება. ერთი წუთითაც არ მინდა ჩრდილი მივაყენო სხვა მინისტრებს, მაგრამ ჯერჯერობით, მათთან საქმიანი შეხვედრა არ მქონია. რას გვეტყვით თქვენი სამართავი აპარატის შესახებ?**

— აპარატი ძირითადად დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პიროვნებებით, რომლებმაც კარგად იციან თავისი საქმე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრს უჭირს. უჭირთ, იმიტომ, რომ როგორც თქვენ დააკვირდით, ძალიან ბევრი სამინისტრო გავაერთიანეთ. აი, თქვენ ბატონი გივი ახსენეთ, რომლის სამინისტროში შევიდა როგორც მძიმე, ისე მსუბუქი, ადგილობრივი, ხე-ტყის დამუშავებისა და ა. შ. სამინისტროები. ეს მძიმე ტვირთი ბატონ გივი აბდუშელიშვილს დააწვა მხრებზე. რაც შეეხება თქვენეულ დახასიათებას, უნდა გითხრათ, რომ თქვენი ინტუიციით მიგნებული სურათი ამ ადამიანისა სავსებით რეალურია. ეს არის მართლაც ძალზე ერუდირებული პიროვნება, რომელსაც შეუძლია მეტად მძიმე ტვირთის ზიდვა. სტრუქტურა, რომელიც მან შეადგინა, სავსებით პასუხობს დღევანდელი დღის მოთხოვნას, იქ ჩადებულია ის იდეა, რომ უახლოეს პერიოდში საწარმოები გადავიდნენ კერძო სექტორში, მოხდეს მათი პრივატიზაციაც და ეს პერიოდი სამ ეტაპად აქვს დაყოფილი. მცირე, საშუალო და დიდი პრივატიზაცია. ე. ი. პირველ რიგში მცირე, წამგებიანი საწარმოების კერძო პირთათვის გადაცემა. შემდეგ მეორე ეტაპი, უკვე საკმაოდ მსხვილი საწარმოების პრივატიზაცია და ბოლოს, დიდი საწარმოების ბედიც უნდა გადაწყდეს — როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, გაერთიანება „აზოტი", სამთო მომპოვებელი კომბინატები. ოღონდ ამას ეტაპობრივი გადასვლა სჭირდება. ძალიან მძიმე ტვირთი დააწვა აგრეთვე ჩვენი არქიტექტურისა და მშენებლობის მინისტრს ბატონ გურამ მირიანაშვილს, რომელსაც ახლა ფაქტობრივად ექვსი სამინისტროს ხელმძღვანელობა უწევს. აქ არის არქიტექტურის, მშენებლობის, საშენ მასალათა მოპოვების, კომუნალური მეურნეობის... ვფიქრობ, რომ ეს სავსებით სწორი გზაა, არ იყო საჭირო ორმოცი-ორმოცდაათი სამინისტრო. დღეს ფაქტობრივად გვაქვს 18 სამინისტრო და სამი დეპარტამენტი. ვთვლით, რომ სტრუქტურა ოპტიმალურია და პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის გარდამავალ პერიოდს ეხება.

**— სკეპტიკოსების საყურადღებოდ მინდა ვთქვა: არის მოსაზრება, რომ თუ კი ჩვენ საბჭოთა კავშირიდან გავალთ, უფსკრულში გადავიჩეხებით. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს ასე არ მოხდება. ეს აზრი კიდევ უფრო განმიმტკიცა გაზეთ „სვობოდნაია გრუზიაში" გამოქვეყნებულმა პოლიტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგის ბატონ ინგუშა მშვენიერაძის წერილმა, სადაც ავტორი, ფაქტებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ცენტრის სახით საქმე გვაქვს აშკარა მძარცველთან. მისი ანგარიშით მოსკოვს უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩვენგან წაღებული აქვს დაახლოებით 81 მილიარდი მანეთი. ეს რაც დაანგარიშებული და აღრიცხულია, მაგრამ მე სხვა რამეც მაინტერესებს. ხომ არ მიჰქონდა ცენტრს ამის გარდა კიდევ, დავუშვათ სამხედრო კომპლექსში გამომუშავებული პროდუქტი, რომელიც არსად არ ჩანს, თუნდაც თბილისის 81-ე საავიაციო ქარხნიდან?**

— რასაკვირველია. საერთოდ რაც შეეხება თავდაცვის ხარჯებს, ის დღესაც კი, ვითომ დემოკრატიულ პირობებში, ჯერ კიდევ ბურუსით არის მოცული. ავიღოთ თუნდაც თბილისის 31-ე ქარხანა. დასამალი არ არის, რომ იგი ყოველწლიურად აწარმოებდა 120-140 თანამედროვე ტიპის რეაქტიულ თვითმფრინავს, რომელიც მთლიანად გადიოდა რესპუბლიკიდან. არც ის არის დასამალი, რომ მათი ნაწილი უცხოეთში იყიდებოდა, თავისუფალ კონვერტირებულ ვალუტაზე. ჩვენთან კი კაპიკი არ შემოდიოდა. დღესდღეობით ცენტრის მიდგომა ურჩი რესპუბლიკების მიმართ მეტისმეტად არაობიექტურია. შეიქმნა დოკუმენტი, რომლის თანახმად, საბჭოთა კავშირიდან გასვლის დროს, უნდა იყოს დაცული ცხრა პლუს ერთის ინტერესები. აქედან გამომდინარე, საკავშირო მნიშვნელობის ქარხნები ურჩმა რესპუბლიკებმა უნდა გამოისყიდონ. მაგრამ იმაზე არაფერია ნათქვამი, თუ ეგრეთწოდებული „განქორწინების" დროს რა წილი ერგებათ რესპუბლიკებს. ეს, რა თქმა უნდა, არაობიექტური მიდგომაა. არსებობს ასეთი ცნება, საერთო საკავშირო ქონება, ანუ საკუთრება. რა არის ეს? ეს არის ყველა რესპუბლიკის მიერ შექმნილი ქონება. ეს იქნება „ზილი", „კამაზი", ალმასის ფონდი თუ ოქროს მარაგი. ვიმეორებ, ეს არის საერთო საკავშირო საკუთრება და ყველა რესპუბლიკას ამ საკუთრების შექმნაში, რასაკვირველია, თავისი წვლილი აქვს შეტანილი. თუმცა, რა თქმა უნდა, პროცენტულად განსხვავებული. ვთქვათ, რუსეთის 60 პროცენტი, უკრაინის 15 და ა. შ. ჩვენი წინასწარი გაანგარიშებით საქართველოს წილი აქ 1,5-დან 1,7-მდე შეადგენს. ეს უზარმაზარი თანხაა. მე ახლა ზუსტად არ შემიძლია დავასახელო ციფრი, მაგრამ წინასწარი გაანგარიშებით ეს 30-35 მილიარდი მანეთია... ე. ი. ჩვენმა რესპუბლიკამ განქორწინების შედეგად ზუსტად ამდენი თანხა უნდა მიიღოს. ხოლო ვალი, რომელსაც კავშირი გვადებს, ალბათ დაახლოებით ცხრა მილიარდს შეადგენს. რასაკვირველია, თუ კი ცენტრმა ჩვენი წილი დაგვიბრუნა, ჩვენც არ ვიტყვით უარს ვალის გადახდაზე.

**— ბატონო თენგიზ! იქნებ ვცდები, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს რაღაც ექსპერიმენტისთვის ვართ განწირულები: ასეთ დატვირთვას, ალბათ, ვერც ერთი ქვეყანა ვერ აიტანდა: ფანტასტიკური ფასები, პროდუქციის მუდმივი დეფიციტი, ნერვიული სიტუაცია. ახლა კიდევ ერთი უბედურება გველოდება. კარს მოგვადგა უმუშევრობა და გვინდა თუ არა, იგი ჩვენს სახლებში უნდა შემოვუშვათ.**

— მოდით, ასე ნუ გავამუქებთ საკითხს. ვერც ერთი სახელმწიფო ამ პროცესს ვერ გადაურჩა. აი, თუნდაც პოლონეთი, თავის დროზე აქ თორმეტჯერ გაიზარდა ფასები. ასევე იყო უნგრეთშიაც. ჩვენ დღეს უზარმაზარი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით, რომლის გადალახვასაც, ალბათ, დასჭირდება დაახლოებით ერთი წელი. მაგრამ ამავე დროს, ჩვენ ვერ ავცდებით უმუშევრობას. მაგრამ იქ, ძალიან მაღალ დონეზე აქვთ გადაწყვეტილი სოციალური უზრუნველყოფის პრობლემა.

**— იქმნება შთაბეჭდილება, რომ იქ სპეციალურად არის შექმნილი ეს რგოლი...**

— სპეციალურად ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ერთ-ერთი ბერკეტია შრომის მაღალი კულტურისა და მწარმოებლობისა. ჩვენთან ამჟამად უკვე დამთავრდა კანონების შემუშავება უმუშევართა თაობაზე. აგრეთვე შექმნილია შრომის ბირჟაც.

**— ბატონო თენგიზ. ჩვენ ძალიან ბევრი რეზერვი გვაქვს. აი, თუნდაც ერთი მაგალითი — მოსახლეობაში მრავლადაა მაკულატურა, ბოთლები, ჯართი. მაგრამ ეტყობა დაინტერესების პრინციპი არ მოქმედებს და ამიტომ არავინ არ აბარებს მას.**

— აბსოლუტურად მართალი ხართ. მოსახლეობაში ძალიან დიდი რაოდენობითაა მაკულატურა, ან მსუბუქი მრეწველობის უკვე გამოუსადეგარი ნაწარმი, რომელიც შესანიშნავ მეორად ნედლეულს წარმოადგენს და რომლის დროული შეგროვება და გადამუშავება რესპუბლიკისთვის ერთ-ერთი დიდი რეზერვი იქნებოდა. და აი, ამიტომ დგება საკითხი, რომ ეს მექანიზმი უნდა დაიხვეწოს. უდაოა, რომ უნდა გაიზარდოს მატერიალური დაინტერესება, სხვაგვარად ჩვენ საქმეს ვერ წარვმართავთ. ეს საკითხი უკვე დასმულია და უახლოეს პერიოდში აუცილებლად გადაწყდება. ეს კი დიდი სტიმული იქნება მეორადი ნედლეულის ჩაბარებისათვის.

**— ახლა ბევრს ლაპარაკობენ ნაზარბაევის მიერ შემოთავაზებულ ჰორიზონტალურ კავშირებზე.**

— მე პირადად შევხვდი ბატონ ნაზარბაევს და შევპირდი, რომ ჩვენი რესპუბლიკა აუცილებლად დაუჭერს მხარს ამ წინადადებას. ლაპარაკია 15 თანასწორუფლებიანი რესპუბლიკის ხელმძღვანელების შეხვედრაზე ცენტრის გარეშე. ეს იქნება პრაქტიკული ნაბიჯი ჰორიზონტალური კავშირების განსამტკიცებლად. საქმე იმაში გახლავთ, რომ ყველა რესპუბლიკას უჭირს საერთაშორისო ბაზარზე გასვლა, რადგან დღეს ძალიან ცოტა ნაწარმი აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს... ამიტომ, რესპუბლიკებს შორის კავშირები აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ. ვიმეორებ, ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს ამ წინადადებას და მე შევთავაზე ბატონ ნაზარბაევს, თუ კი მას უჭირს ამ შეხვედრის ორგანიზაცია ალმა-ათაში, ეს შეიძლება მოხდეს თბილისში. მე დარწმუნებული ვარ, რესპუბლიკების უმეტესობა მხარს დაუჭერს ბატონ ნაზარბაევის წინადადებას და ასეთი შეხვედრა შედგება.

**— დავამთავროთ ამაზე დღეს ჩვენი საუბარი, ბატონო თენგიზ! რა თქმა უნდა, ყველა საკითხს ვერ შევეხეთ, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ შემდეგაც შევხვდებით ერთმანეთს. დიდი მადლობა!**

— თქვენც დიდი მადლობა, კარგად ბრძანდებოდეთ!

**გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში.**

# საქართველოს რესპუბლიკის კანონი

# დასაქმების შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკას, უმუშევართა სოციალური დაცვის ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს.

კანონი ვრცელდება რესპუბლიკის ყველა მცხოვრებზე. თანაბარ პირობებში სამუშაოზე მოწყობისას უპირატესობით სარგებლობენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი.

## კარი I

## ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები დასაქმების სფეროში**

დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

ა) საქართველოს ყველა მოქალაქისათვის შრომის უფლების განხორციელების თანასწორი შესაძლებლობის უზრუნველყოფა რასის, ეროვნების, სქესის, რელიგიური მრწამსის, პოლიტიკური შეხედულებებისა და ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად;

ბ) მოქალაქის შრომითი ინიციატივის მხარდაჭერა და წახალისება;

გ) მოქალაქის დასაქმებისათვის ხელშეწყობა, უმუშევრობის მაქსიმალურად შემცირება;

დ) უმუშევრის სოციალური დაცვის უზრუნველყოფა;

ე) დასაქმების სფეროში და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სხვა მიმართულებით (სოციალური უზრუნველყოფა, შემოსავლების ზრდა და განაწილება, ინფლაციის თავიდან აცილება და სხვა) გასატარებელ ღონისძიებათა კოორდინაცია;

ვ) დასაქმების სფეროში გასა- [illegible]

[illegible] ფო უშიშროებისა და სამართალდამცავ ორგანოებში;

ე) სხვა ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დროებით იმყოფება საქართველოს რესპუბლიკაში, მუშაობს მის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში საკუთრების ფორმის მიუხედავად, თუ მისი საქმიანობა დაკავშირებული არ არის უცხოეთის სახელმწიფო საელჩოსა და წარმომადგენლობის (მისიის) ფუნქციონირებასთან;

ვ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც მუშაობს საზღვარგარეთ.

**მუხლი 3. უმუშევარი**

უმუშევრად ითვლება შრომისუნარიანი მოქალაქე შრომისუნარიან ასაკში, რომელსაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არა აქვს სამუშაო და შესაბამისად ხელფასი (შრომითი შემოსავალი). რეგისტრირებულია შრომის სახელმწიფო ბირჟაზე და ეს სამსახური ვერ სთავაზობს მას შესაფერის სამუშაოს.

უმუშევარი მოქალაქის რეგისტრაციის წესი და პირობები განისაზღვრება ამ კანონით და რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული შესაბამისი დებულებით.

მოქალაქეს, რომელსაც დადგენილი წესის მიხედვით არ შეიძლება მიენიჭოს უმუშევრის სტატუსი, უფლება აქვს დადგეს შრომის სახელმწიფო ბირჟის აღრიცხვაზე, როგორც სამუშაოს მაძიებელი.

**მუხლი 4. შესაფერისი სამუშაო**

მოქალაქისთვის, რომელიც გამოთავისუფლდა სამუშაოდან და არა აქვს ხელფასი (შრომითი შემოსავალი) და რეგისტრაცია გაიარა შრომის სახელმწიფო ბირჟაზე, შესაფერისად ჩაითვლება სამუშაო, რომელიც შეესაბამება მის პროფესიულ მომზადებას, [illegible]

ა) შრომის სახელმწიფო ბირჟამ ვერ შეურჩია შესაფერისი სამუშაო იმის გამო, რომ მოქალაქეს არა აქვს აუცილებელი პროფესიული კვალიფიკაცია;

ბ) შრომის სახელმწიფო ბირჟა ვერ სთავაზობს უმუშევარს მისი პროფესიული გამოცდილების შესაფერის სამუშაოს და საჭირო ხდება სპეციალობის შეცვლა;

გ) უმუშევარმა დაკარგა უნარი შეასრულოს სამუშაო თავისი წინანდელი პროფესიის მიხედვით.

უმუშევრის პროფესიული მომზადება და გადამზადება ხორციელდება დასაქმების სახელმწიფო სამსახურის სისტემაში არსებული პროფესიული მომზადების და გადამზადების სისტემის სასწავლო-საწარმოო ცენტრების ბაზაზე, აგრეთვე ხელშეკრულებით სხვა სასწავლო დაწესებულებებში დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ამ მიზნით გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე.

**მუხლი 17. დროებითი სამუშაოების ორგანიზაცია**

მმართველობის ადგილობრივი ორგანოები შრომის სახელმწიფო ბირჟის წინადადებითა და მონაწილეობით ადგილობრივი მუნიციპალური საკუთრების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე ხელშეკრულების საფუძველზე სხვა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ახორციელებენ დროებითი სამუშაოების ორგანიზაციას.

დროებით სამუშაოთა დაფინანსება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრების გამოყენებით.

დროებითი სამუშაოების ორგანიზაციის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მიერ შემუშავებული შესაბამისი დებულებით.

## კარი IV

## უმუშევრის სოციალური დაცვის გარანტიები

**მუხლი 18. მატერიალური მხარდაჭერის გარანტიები**

უმუშევარს სახელმწიფო აძლევს შემდეგ გარანტიებს:

ა) შემწეობას უმუშევრობისათვის;

ბ) სტიპენდიას პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პერიოდში და ამ ხნის განმავლობაში უნარჩუნებს საერთო და უწყვეტ შრომით სტაჟს;

გ) მატერიალურ დახმარებას მისთვის და მისი ოჯახის წევრებისათვის, კმაყოფაზე მყოფი მოხუცებისა და არასრულწლოვანი ბავშვების გათვალისწინებით.

**მუხლი 19. გამოთავისუფლებულ მუშაკთა შემწეობის გარანტიები**

მუშაკს, რომელიც გამოთავისუფლებულია სამუშაოდან, შემწეობა ეძლევა ერთი წლის განმავლობაში შემდეგი წესით:

გამოთავისუფლების დღიდან პირველი სამი თვის განმავლობაში უკანასკნელ ძირითად სამუშაო ადგილზე მიღებული საშუალო ხელფასის ოდენობით, რო- [illegible]

[illegible] სებული კანონმდებლობით არ იღებენ დახმარებას, შემწეობის ოდენობა უდიდდება მისთვის დადგენილი შემწეობის 25 პროცენტით კმაყოფაზე მყოფ თითოეულ წევრზე, მაგრამ არა უმეტეს უკანასკნელ სამუშაო ადგილზე ნამუშევარი საშუალო ხელფასის ოდენობისა.

მოქალაქეს, რომელიც გათავისუფლებულია სასჯელის მოხდის ადგილიდან, ან რომელმაც სასამართლოს გადაწყვეტილებით გაიარა იძულებითი მკურნალობა და რეგისტრირებულია როგორც სამუშაოს მაძიებელი, მიეცემა უმუშევრობის შემწეობა დადგენილი მინიმალური ხელფასის არანაკლებ 75 პროცენტის ოდენობით.

მოქალაქეს, რომელმაც დაამთავრა საშუალო, საშუალო სპეციალური ან უმაღლესი სასწავლებელი, ან გაიარა სავალდებულო სამსახური შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიაში და დამთავრებიდან 6 თვის განმავლობაში რეგისტრირებულია შრომის სახელმწიფო ბირჟაზე როგორც უმუშევარი, ეძლევა შემწეობა რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ოდენობით დღიდან რეგისტრაციისა ერთი წლის განმავლობაში.

უმუშევარს, რომელიც განაცხადებს თანხმობას იმუშაოს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მიერ განსაზღვრული სამუშაო ძალით ნაკლებად უზრუნველყოფილ საწარმოში, ორგანიზაციაში და დაწესებულებაში, ეძლევა დამატებითი ერთჯერადი შემწეობა რესპუბლიკაში დადგენილი ოდენობით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვის და დემოგრაფიის სამინისტრო.

**მუხლი 20. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პერიოდში გასაცემი სტიპენდიის ოდენობა**

უმუშევარს, რომელსაც კმაყოფაზე ჰყავს ბავშვები და ოჯახის სხვა წევრები, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პერიოდში ეძლევა სტიპენდია წინა სამუშაო ადგილზე საშუალო თვიური ხელფასის 80 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობისა, ხოლო ვისაც არავინ ჰყავს კმაყოფაზე — მისი საშუალო თვიური ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასისა და არა უმეტეს სამმაგი მინიმალური ხელფასისა.

მოქალაქეს, რომელიც პირველად ეძებს სამუშაოს, ასევე მოქალაქეს, რომელსაც არ უმუშავია ხანგრძლივი დროის (1 წელზე მეტი) განმავლობაში, სჭირდება პროფესიული მომზადება და გადამზადება, სწავლების პერიოდში ეძლევა სტიპენდია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ხელფასის ოდენობით.

[illegible] შეწყვეტა

უმუშევრისათვის შემწეობის გაცემის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) უმუშევარმა არასაპატიო მიზეზით განაცხადა უარი მისთვის შეთავაზებულ ორ შესაფერის სამუშაოზე;

ბ) უმუშევარმა უარი განაცხადა ორ შეთავაზებულ შესაფერის სამუშაოზე პროფესიული მომზადებისა და გადამზადების შემდეგ, სადაც გაგზავნილი იყო ბირჟის მიერ;

გ) უმუშევარმა შემწეობის მიღების პერიოდში იშოვა დროებითი სამუშაო და ამის შესახებ ბირჟას არ შეატყობინა;

დ) უმუშევარმა დაარღვია ამ კანონის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა;

ე) უმუშევარი შეეცადა მოტყუების გზით მიეღო ან მიიღო შემწეობა;

ვ) უმუშევარი დათხოვნილია სამუშაოდან შრომის დისციპლინის დარღვევის გამო ან საკუთარი სურვილით, საპატიო მიზეზის გარეშე.

უმუშევრობისათვის შემწეობის გაცემის შეჩერების ან შეწყვეტის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულებით.

**მუხლი 24. მატერიალური დახმარება**

იმ შემთხვევაში, თუ უმუშევარმა დაკარგა შემწეობის მიღების უფლება და კვლავ რჩება შრომის სახელმწიფო ბირჟის აღრიცხვაზე, როგორც სამუშაოს მაძიებელი, მას და მისი ოჯახის წევრებს შესაძლებელია მიეცეს მატერიალური და სხვა დახმარება, რომლის ოდენობას, გაცემის წესს და პირობებს რესპუბლიკის მთავრობა განსაზღვრავს.

## კარი V

## კონტროლი დასაქმების შესახებ კანონმდებლობის განხორციელებაზე და პასუხისმგებლობა მისი დარღვევისათვის

**მუხლი 25. მაკონტროლებელი ორგანოები**

კონტროლს მოსახლეობის დასაქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესრულებაზე ახორციელებენ შრომის, სოციალური დაცვის და დემოგრაფიის სამინისტრო, ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, კანონით უფლებამოსილი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები.

**მუხლი 26. პასუხისმგებლობა დასაქმების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის**

დასაქმების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისთვის დისციპლინურ, მატერიალურ, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 25 ივლისი.

---

## საკუთარ სახლში

# ერთი დღე საქართველოს დასავლეთის საზღვარზე

## ანუ აზრები გაუმართავი „მშვიდობის მარშისა" და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანილი საქონლის ფართო ასორტიმენტის შესახებ

**წინათ** ვერასოდეს ნახავდით, რომ საქართველოს დასავლეთის საზღვარზე თავი მოეყაროს ამდენ პერსონალს, სასამსახურო ავტომანქანებსა და ტექნიკას, რომ ცაში განუწყვეტლივ დაფრინავდნენ ვერტმფრენები. ამ დილით, ისევე როგორც მთელი ბოლო დღეების მანძილზე, სოფელ ლესელიძის სახელმწიფო ავტოინსპექციის საკონტროლო-გასაშვები პუნქტის თანამშრომლები, აგრეთვე აქ მივლინებით ჩამოსული საქართველოს რესპუბლიკის, მათ შორის აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროების მუშაკები გადიდებულ მზადყოფნაში იყვნენ.

— ამგვარი ყურადღება, — ამბობს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის განყოფილების უფროსი მურად ანჯაფარიძე, — გამოწვეულია ინფორმაციით იმის თაობაზე, რომ ეგრეთ წოდებული „მესხეთელი თურქები" აპირებენ აფხაზეთის მხრიდან მოაწყონ „მშვიდობის მარში", სინამდვილეში კი შემოვიდნენ და დარჩნენ საქართველოში. სწორედ იმ მიზნით, რომ არ დაუშვან ეს პროვოკაციული აქცია, გაძლიერდა კონტროლი საავტომობილო, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტისადმი საზღვარზე გადასვლისას. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ჯერჯერობით არ შეიმჩნევა „მესხეთელი თურქების" თავმოყრა სოჭში ანდა კრასნოდარის მხარის რომელიმე სხვა ქალაქში. როგორც გვაცნობეს, ისინი ახლა მოსკოვში იკრიბებიან და თავიანთი ლიდერის სარვაროვის შემდგომ მითითებებს მოელიან...

— სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსთან საუბრისას მისი ყურადღება მივაპყარი სოჭის მიმართულებით მიმავალი მსუბუქი ავტომანქანების სვლის შენელებას.

**— რით არის გამოწვეული საზღვრის მეორე მხარეს საქართველოს ხანმოკლე ნიშნებიანი პირადი ავტომანქანების შემოწმების ესოდენ მკაცრი რეჟიმი. ხომ არ არის მოსალოდნელი სასაზღვრო კონფლიქტი?**

— იმედი მაქვს, რომ საქმე აქამდე არ მივა. ის კი, რაც ახლა ხდება, განპირობებულია სოჭის საქალაქო აღმასკომის საგანგებო კომისიის გადაწყვეტილებით „სატრანზიტოს" გარდა, აქ კერძო ავტოტრანსპორტის ნაკადის გავლის შეზღუდვის შესახებ. ეს არ ვრცელდება იმათზე, ვისაც ხელთ აქვს ჯანმრთელობის დაცვის კურორტების საგზურები და საკურსეებო, ან თვითმფრინავების ავიაბილეთები ადლერიდან გასაფრენად. ამასთანავე, მილიციის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმები ამოწმებენ საეჭვო მანქანებს.

გადავდივარ საზღვარს მდინარე ფსოუს ხიდზე და ვხვდები ქალაქ ადლერის სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროს ნიკოლოზ რულიოვს. იგი შემდეგ ინტერპრეტაციას აძლევს ყოველივე იმას, რაც აქ ხდება.

— სოჭს ამას წინათ ქარბორბალამ გადაუარა, — თქვა მან, — არიან დაღუპულნი და დაშავებულნი. ქალაქში დარღვეულია ეპიდემოლოგიური ვითარება. სწორედ ამით არის ნაკარნახევი საქალაქო ხელისუფალთა გადაწყვეტილება სხვა ქალაქების ავტოტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვის შემოღების შესახებ. იმ პირადი ავტომანქანების მფლობელებს, რომლებიც უმიზეზოდ მიმოდიან, აგრეთვე ჩასმული აქვთ მუქი ფერის ან სარკიანი მინები, რაც, როგორც გვაცნობეს, აკრძალულია საქართველოში, ჩვენ ვთავაზობთ უკან დაბრუნებას. სოფელ ლესელიძის სახელმწიფო ინსპექციის საკონტროლო-გასაშვები პუნქტის თანამშრომლებთან პრობლემები არა გვაქვს, კოლეგიურად ვმუშაობთ.

ამ დროს საზღვარზე მოვიდა ახალი ცნობა...

— მოსკოვის ყაზანის ვაგზალში, — ამბობს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩახუნაშვილი, — გრძელდება „მესხეთელი თურქების" თავმოყრა. იქ გაემგზავრა ბელორეჩენსკიდან კიდევ ერთი ჯგუფი. ვარაუდობენ, რომ ისინი ყველანი მოაწყობენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პიკეტირებას, მოითხოვენ მათთვის ადრე მიცემულ დაპირებათა შესრულებას, კრემლის მხრივ ხელშეწყობას. 29 ივლისს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ნავარაუდევი იყო მიტინგის მოწყობა, რომელსაც უნდა განესაზღვრა „მესხეთელი თურქების" მარშრუტი და მოქმედების ხასიათი. ჯერჯერობით კი კონტროლს ვუწევთ ვითარებას.

— საგულისხმოა, — ებმება საუბარში აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვახტანგ კოლბაია, — რომ ფაქტობრივად ერთსულოვნად არის მიღებული ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილება ჩრდილოეთიდან ზემოთ დასახელებული დაუპატიჟებელი „სტუმრების" შემოსვლის თავიდან აცილების მიზნით ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელების თაობაზე...

დიახ, „მესხეთელ თურქებად" მონათლულთა საქართველოში ლაშქრობის შესაძლებლობის საკითხის სიმწვავე რამდენადმე შენელდა. მაგრამ საზღვარზე გატარებულმა ერთმა დღემ სხვა პრობლემა დაგვანახვა — სახელდობრ, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სამრეწველო და სასურსათო საქონლის უკონტროლო, მოუწესრიგებელი გატანის ტენდენცია. რას არ ნახავდით აქ, სატვირთო ავტომობილების ძარებში დატვირთულს!

აი, მაგალითად, ზუგდიდის რაიონის „სპეცყოფრემმშენის" № 2 ტრესტის ექსპედიტორი ნოდარ ქობალია მძღოლთან ერთად ჩქარობს კრასნოდარის მხარის ქალაქ აფშერონსკში გაიტანოს გაზის ქურები „ბრესტი", რომელიც ჩვენში სანთლით საძებნელია. რა თქმა უნდა, მათ სანაცვლოდ შეიძლება მიიღო მერქან-ბურბუშელის ფილები, რისთვისაც ილეწის „სპეცრემმშენის" სამმართველოს უფროსი რ. კანკია, რომელმაც გაცვლის მინდობილობა მისცა ექსპედიტორს. მაგრამ ამას ხომ არ უნდა შევწიროთ ყველაფერი! ამ ქურების შეძენაზე ხომ ჩვენი თანამოქალაქეებიც ოცნებობენ.

ანდა, მეორე შემთხვევა. ოზურგეთის რაიონის პრეფექტის მოადგილემ ა. ღლონტმა ნება დართო კოოპერატივ „სუბტროპიკს", რომელიც ანასეულის ექსპერიმენტულ ჩაის ფაბრიკასთან შეიქმნა, განახორციელოს გაცვლითი ოპერაციები მოსკოვის სავაჭრო ცენტრში და ამისათვის გაიტანოს 10 ტონა ჩაი. მაგრამ მაზ-5432-ის ძარაში უკვე აღმოჩნდა 15 ტონა ჩაი და სულ სხვა არის დანიშნულების პუნქტიც — ბრესტის ქალაქვაჭრობა.

გუდაუთის მცირე საწარმომ „გენექსმა" კი მოქმედების ფართო დიაპაზონი გვიჩვენა. თითქმის სამი მილიონი მანეთის იმპორტული მაგნიტოფონები, პერანგები, გადიდებული მოთხოვნის მაჯის საათები გაგზავნა შორეულ ომსკში.

იმ დღეს საქართველოდან გაჰქონდათ საძილე გარნიტურები და სამზარეულო სარეცხელები, შპალერი და მოტოროლერები, ხილი და ბოსტნეული, ფეხსაცმელი და დეკორატიული ხალიჩები, შეკერილი ნაწარმი, მუყაო და მრავალი სხვა საქონელი.

—ხომ ხედავთ,—ამბობს ლესელიძის სახელმწიფო ავტოინსპექციის საკონტროლო-გასაშვები პუნქტის ცვლის უფროსი დიმიტრი შაკაია,—რა თავდაჯერებულად იქცევიან ტვირთის გამყოლი პირები. ხელთ აქვთ რა პრეფექტების, თავიანთი ხელმძღვანელების ნებართვები, მათ უშიშრად და დაუეჭვებლად გააქვთ დიდძალი ძირითადად ჩვენი რესპუბლიკისთვისაც დეფიციტური საქონელი. მაგრამ ვერ ვხედავთ, რომ სანაცვლოდ მათ სამრეწველო საქონელი და პროდუქტები შემოჰქონდეთ...

მართლაც, საქონლის მოძრაობამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო. მხოლოდ ერთი-ორი სატვირთო ავტომანქანა თუ შემოვიდა ლესელიძეში ამ ხნის მანძილზე. რა თქმა უნდა, ეს ცოტაა.

**ზურაბ ბრძოლიშვილი,**
**საქინფორმის სპეც. კორ.**

ლესელიძე-თბილისი.

## გულახდილად

# წილი ნაყარია!

## (კომუნისტის ნააზრევი გზაგასაყართან)

ეს სიტყვები, ლეგენდის თანახმად მდინარე რუბიკონთან ნათქვამი, კოლონიურ გალიას რომ საზღვრავდა ძლევამოსილი მეტროპოლიისაგან, მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკოსს ეკუთვნის — გაიუს იულიუს ჩეზარეს. ისინი მაშინ გახმიანდა, როცა პროკონსულის ბედი როდი წყდებოდა მხოლოდ, არამედ რომის რესპუბლიკისაც საკუთრივ. მართლაც, მდინარის გადალახვის შემდეგ დაწყებულმა სამოქალაქო ომმა არა მარტო ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, არამედ მაშინდელი დასავლეთევროპული ოიკუმენის ცენტრში ძირეული ცვლილებებიც განაპირობა — რესპუბლიკის დაცემა და პრინციპატის ჩამოყალიბება, პრაქტიკულად ერთპიროვნული მონარქიისა.

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში, როგორც ჩანს, იქმნება ვითარება, როცა მანაც უნდა გაბედოს ამგვარი საბედისწერო არჩევანის გაკეთება. ვფიქრობ, რომ ეს ჟამი ჩემთვისაც დადგა. დაე, ნურავინ ჩამომართმევს ამას კადნიერებად — დახეთ, დიდი პოლიტიკოსისა და მხედართმთავრის ბედს უსწორებსო თვალს. განდიდების მანია, ჭიასავით რომ უღრღნის ზოგიერთს გულს, არასოდეს მახასიათებდა. მაგრამ რაღაც ხომ უნდა ვისწავლოთ ისტორიისაგან ყველამ, ბოლოს და ბოლოს?

ჯერ კიდევ შარშან, 2 ივნისს, რესპუბლიკის კომპარტიის XXVIII ყრილობის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ, გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" გამოქვეყნებულ წერილში „საქართველოს კომუნისტური პარტია: ჰო თუ არა?" ვწერდი, რომ ყრილობას განსაკუთრებული, კარდინალური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს პარტიის ისტორიაში — „...ის, ან თანამედროვეობის სულისკვეთებით თეორიულად განახლებული, კარიერისტებისა და მომხვეჭელთაგან განწმენდილი, ეროვნული ბრძოლის ავანგარდში ჩადგება ერთიანი და განუყოფელი, სუვერენული და აყვავებული საქართველოსათვის, კეთილი და მოსიყვარულე დედისათვის ყველა თავისი შვილისა — ქართველისა თუ აფხაზის, რუსისა თუ სომეხის, ოსისა თუ აზერბაიჯანელის, ბერძენისა თუ ქურთის, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი საბჭოთა კავშირის სხვა, ასევე დამოუკიდებელ და თანასწორუფლებიან კომუნისტურ პარტიებს შორის, ან საბოლოოდ დაჰკარგავს უფლებას იწოდებოდეს თავისი ეპოქის პირმშოდ და თავისი ხალხის მსახურად და სახელგატეხილი დატოვებს ისტორიის სარბიელს".

სწორედ ამგვარი, ძირეული განახლებისათვის ვიბრძოდი მაშინ, ყრილობის სარედაქციო კომისიის რამდენიმე წევრთან ერთად, ზოგიერთი იმდროინდელი ვაი-კომუნისტის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, დღეს ისევე ფარისევლურად რესპუბლიკის ახალ ხელისუფლებას რომ უკმევენ გუნდრუკს გაფაციცებით. ვფიქრობ, ნაწილობრივ ამ ბრძოლის შედეგი იყო ის, რომ კომპარტიის პროგრამული და სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულებების პროექტს დაემატა შესავალი, სადაც მკაფიოდ იქნა განცხადებული — „... საქართველოს კომპარტია **აღიარებს და გმობს თავისი ისტორიის მანძილზე დაშვებულ შეცდომებსა და გადახრებს,** რომლებიც მიუღებელია ჩვენი პარტიის ახალი პროგრამული მიზნებისათვის".

მე მიმაჩნდა (და ახლაც მიმაჩნია), რომ თუ ჩვენ გვსურს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი (და არა შეკვეცილი, დანაწევრებული, დელეგირებული — როგორც იყო), მაშინ ასევე **სრულად სუვერენული უნდა იყოს ამ სახელმწიფოს ყოველი პარტიაც.** ვფიქრობ, რომ ჩვენი დაბეჯითებული მოთხოვნების შედეგად იქნა ნათლად ფორმულირებული პროგრამისა და წესდების უმნიშვნელოვანესი დებულებანი, რომელთა გარეშე ჩვენთვის მიუღებელი იყო კომპარტიის რიგებში დარჩენა:

ა) „საქართველოს კომუნისტური პარტია საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ნებაყოფლობით გაერთიანებული, **დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციაა**... საქართველოს კომპარტია მოქმედებს საკუთარი პროგრამისა და წესდების საფუძველზე **საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ფარგლებში**";

ბ) „აუცილებელია შეიქმნას რესპუბლიკათა დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი კომპარტიების თვისებრივად სრულიად ახალი, პარიტეტულ საფუძველზე აგებული ურთიერთკავშირი";

გ) „... მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე აღიძრას საკითხი, რომ მომზადდეს წინადადებანი **საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენისა და დამკვიდრების კონსტიტუციური მექანიზმის შესახებ**".

(იხ. გ. გუმბარიძის შემაჯამებელი სიტყვა. გაზ. „კომუნისტი", 17 მაისი, 1990 წ.).

მაგრამ ყრილობის შემდგომ განვლილმა პერიოდმა ნათლად გვაჩვენა, რომ ჩვენი სწრაფვა კომპარტიის განახლებისაკენ დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". თამამად შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 28 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შემდეგ საქართველოს კომპარტიამ — იმ შინაარსითა და ფორმით, რომლითაც იგი მანამდე მოვიდა — თავისი არსებობა დაასრულა. რამდენიც არ უნდა იმშვიდო თავი — 700 ათასმა კაცმა მოგვცა ხმა და 64 ადგილი დავიკავეთო პარლამენტში — ერთპიროვნულად მმართველი პარტიისათვის, რომელიც 70 წლის განმავლობაში განუყოფლად იდგა ხელისუფლების სათავეში, რომლის ხელთ იყო კომუნისტების 400-ათასიანი არმია, განვრცობილი პარტიული და სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, მასობრივი ინფორმაციის თითქმის ყველა საშუალება, არჩევნების შედეგები მარტოოდენ ტაქტიკური, პოლიტიკური მარცხი როდი იყო, არამედ, რაც მთავარია, სტრატეგიული, კონცეპტუალური, რამაც უტყუარად დაადასტურა, რომ მას, მის ხელმძღვანელობას, არც გამოცდილების გამოყენებისა და სიტუაციური ანალიზის უნარი გააჩნია, არც თანადროულობის ადეკვატური, მისეული თეორიული საფუძველი, არც შემოქმედებითი პოტენცია და არც ნებისყოფა.

უხერხემლოდ, უნიათოდ, პირველი მდივნის პოსტისათვის უპრინციპო ბრძოლაში ჩატარდა ყრილობის მეორე ეტაპიც დეკემბერში, როცა ყოველი კომუნისტის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით უნდა დამდგარიყო არა მარტო კოლექტიური, არამედ პიროვნული პასუხისმგებლობის ფუნდამენტური საკითხები: „რანი ვიყავით, რა გზით ვვლეთ და საით წავიდეთ ახლა, როცა ცხოვრებისეულ ფასეულობათა გადასინჯვის საბედისწერო ჟამი დადგა?"

ასეთ ვითარებაში მართებულად ვცანი დამეტოვებინა ყრილობა მისი მუშაობის მეორე დღეს, რამეთუ — „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან".

და უცებ, ჩემთვის მოულოდნელად... კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი აღმოვჩნდი, დაუსწრებლად არჩეული!

36 წელია პარტიის რიგებში ვარ. ეს არც ბრმა რწმენით გამიკეთებია და არც რომელიმე მაღალი სავარძლის დაკავების იმედით, როგორც ახლა გვიკიჟინებენ მავანნი. პარტიის ყველა მიღწევასა თუ ჩავარდნას მოვყვებოდი ჩემს თანამოაზრეებთან ერთად და მზადა ვარ, თუკი ეს საჭირო იქნება, სრული საზომით ვაგო პასუხი ამ გზისათვის, რადგანაც აღსარებასავით შემიძლია განვაცხადო, რომ როგორც საქართველოს მოქალაქეს, როგორც მეცნიერსა და პიროვნებას, არც ერთი წუთით არ მიღალატია სამშობლოსა და ერისათვის, არც ერთი ნაბიჯით არ შემირცხვენია სინდისი და მშობლების პატიოსანი სახელი.

თუ რამ მწამდა კომუნიზმისა, როგორც იდეისა და თეორიის, უთუოდ ის, რომ იგი უკეთილშობილესი, თუმცა უშორესი მიზანია, რომელსაც ჩვენ, ცოდვილნი ამა ქვეყნისანი, დაუსრულებლად უნდა ვესწრაფოდეთ.

სწორედ ამიტომ არაერთხელ მითქვამს და კვლავაც ვიმეორებ — აღვირახსნილი ანტიკომუნიზმი ჩემთვის აბსოლუტურად ისევე მიუღებელია, როგორც პარტიის მიერ მონოპოლიზებული, ორთოდოქსულად დოგმატიზებული და დეჰუმანიზებული კომუნიზმი.

სწორედ ამიტომ, საკუთარ თავთან ხანგრძლივი დავის შემდეგ, კიდევ ერთხელ გადავწყვიტე პარტიის რიგებშივე მეცადა ბრძოლა მისი მოქცევისათვის ერის, სიკეთის, განწმენდისა და განახლებისაკენ.

ვაი, რომ კიდევ ერთხელ შევცდი — ერთი, ან თუნდაც რამდენიმე მერცხალი გაზაფხულს, როგორც ცნობილია, ვერ მოიყვანს! ვიმედოვნებ, რომ ეს შეცდომა ახლა უკვე უკანასკნელია.

პარტიის განახლება, უწინარეს ყოვლისა, შინაპარტიული დემოკრატიის ძირეულ, საქმიან გაღრმავებაში უნდა აისახოს და არა მაღალფარდოვან დეკლარაციებში, როგორც ეს ჩვენთან ხდება კვლავინდებურად. ყრილობის შემდეგდროინდელი ცენტრალური კომიტეტის პლენუმები პრაქტიკულად მდივნებისა და წევრების დაუსრულებელ ოთურმად გადაიქცა, თითქოს პარტია „ტურფა საბაღნარო" იყოს, სადაც ერთნი წავლენ და სხვანი მოვლენ... მით უფრო, როცა ზოგიერთმა მათგანმა კინაღამ „ნაციონალ-სოციალისტურ პარტიად" მოგვნათლა ოფიციალურად!

შეიძლება ეს მხოლოდ მე მეჩვენებოდეს, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ცენტრალური კომიტეტის არც ერთი პლენუმი არ მომზადებულა მისი წევრების აქტიური მონაწილეობით, პირველადი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. პარტიის რიგითი წევრები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები როგორც იყვნენ, ისევე რჩებიან უსახურ სტატისტებად კულისებს მიღმა, უუფლებო „პარტიულ მასად". თუ იმ გარდაუვალ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ უზენაესი საბჭოს არჩევნებიდან რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებამდე კომპარტიის რეიტინგი 30-დან დაახლოებით 2 პროცენტამდე დაეცა, დღეს ისიც საკითხავია — სადღაა ეს „პარტიული მასა"...

პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი პრაქტიკულად კვლავ რჩება ლენინისეული დემოკრატიული ცენტრალიზმის დრომოჭმულ ქარგაზე აგებულ სტალინისეულ „მახვილოსანთა ორდენად", რომელშიც ბიუროს ვიწრო შემადგენლობაა უმაღლესი ერთპიროვნული გამგებელი და სადაც ცეკას წევრების უფლებამოსილებანი ძველებურადვე, დაპროგრამებული თოჯინების მსგავსად, ხელის აწევ-დაწევით შემოიფარგლება.

პარტიის იდეოლოგიურ საფუძველს, უკანასკნელ პერიოდამდე მაინც, მარქსიზმ-ლენინიზმი წარმოადგენდა, თანადროულობის თეორიულ-პრაქტიკული გააზრების კვინტესენციად რომ იყო ცხობილი აქამდე. თავის დროზე, XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს, მონოპოლიამდელი, ე. წ. „თავისუფალი კაპიტალიზმის" იმპერიალიზმად გადაზრდის სრულიად კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში, ისიც რუსეთის იმპერიის, ხალხთა ამ ძირმომპალი საპყრობილის პირობებში, სადაც კლასობრივმა კონფლიქტებმა უკვე 1905-1907 წლებში მიიღო უმწვავესი ხასიათი, ბოლშევიკური მარქსიზმის კონფრონტაციულ მოდელს, ვფიქრობ, კიდევ მოეძებნებოდა გამართლება. ყოველ შემთხვევაში, დროებითი მთავრობის უნიათო საქმიანობამ 1917 წლის თებერვალ-მარტის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ აშკარად დაადასტურა რუსული პარლამენტური დემოკრატიის სრული უბადრუკობა.

მაგრამ ახლა, მე მგონია, ბრმებისთვისაც კი ნათელი უნდა იყოს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, განსაკუთრებით უკანასკნელ ოცწლეულში მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში სულ სხვა ეტაპი დაიწყო და ადამიანთა მოდგმის წინაშე სრულიად ახალი ამოცანები დადგა, თუ გნებავთ „ჰომო საპიენსის" როგორც სახეობის ყოფნა-არყოფნისა საერთოდ. ეპოქების ამგვარი კარდინალური სხვაობა, რომელიც გარდაუვალად მოითხოვს ადეკვატურ, მრავალმხრივ თეორიულ ანალიზს, ჭკუადამჯდარმა მარქსისტებმაც კი აღნიშნეს — სამწუხაროდ უფრო საზღვარგარეთ, ვიდრე ჩვენთან. ცნობილი ფრანგი მარქსისტი ფილოსოფოსი ლუსიენ სევი, მაგალითად, თავის 1990 წელს გამოსულ წიგნში „კომუნიზმი: როგორი მეორე სუნთქვა?" წერდა, მარქსმა მოხაზა „... ინდუსტრიული ეპოქის კომუნისტური პერსპექტივა, მაშინ როცა დღეს ინფორმაციული ეპოქის კომუნისტური პერსპექტივა ისახება, უფრო ფართოდ — ახალი ტექნოლოგიური ეპოქისა, რომელიც მომსახურების სფეროს გიგანტურ განვრცობას შეიცავს, სადაც სრულიად ახალი შესაძლებლობანი გამოიკვეთება და იმავე დროს საფრთხეც ადამიანთა მთელი ერთობლიობისთვის" (იხ. Seve L. Communisme: quel second Souffle? Paris. 1990, p. 63).

თუ ქართველმა კომუნისტებმა (რაკი მათ მაინცდამაინც კომუნისტებად დარჩენა სურთ), ეს უმნიშვნელოვანესი პარადიგმა არ გაიზიარეს, რაც ცეკას ერთ ან ორ პლენუმზე და პარტკონფერენციაზე ვერ ჩამოყალიბდება, მაშინ იმას მიიღებენ, XX საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა პოლიტიკოსმა შარლ დე გოლმა რომ ბრძანა: „უძლურ იდეოლოგიას სოციალური აკრძალვების სისტემა ცვლისო". **ეს კი პირდაპირი გზაა უფსკრულისაკენ.** ჩემი აზრი ამ გარემოების შესახებ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმს მოვახსენე კიდეც.

მარქსიზმ-ლენინიზმის ჩვენი ახალგამოჩეკილი ადეპტები კი „ფილოსოფიური მედიტაციის ჟანრით" „პლურალისტური მარქსიზმის" იდეას გვთავაზობენ, რომელიც თურმე (ჰოი, საოცრებავ), „... კლასიკური მარქსიზმის, მარქსიზმ-ლენინიზმის, ჩინური მარქსიზმის (მაოიზმის), ევროკომუნიზმის, ეგზისტენციალური მარქსიზმის, ფენომენოლოგიური მარქსიზმის, ანალიტიკური მარქსიზმის, ფრეიდომარქსიზმის, დიალექტიკური მარქსიზმის, სციენტისტური (მეცნიერული) მარქსიზმის და ა. შ." აჯაფსანდალს უნდა წარმოადგენდეს!? (იხ. გაზ. „ცხოვრება", 3 ივლისი, 1991 წ.).

ნათქვამია — „დაგვიფარე, უფალო, ამგვარი მეგობრებისაგან, მტრებს როგორმე ჩვენვე გავუმკლავდებითო!"

პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ვერ (თუ არ?) გამოკვეთა არაორაზროვნად და პირუთვნელად, სერიოზულად და ღრმად თავისი პოლიტიკური პოზიცია — უმძიმესი წარსულის ანალიზსა და შეფასებას რომ დავანებოთ თავი ერთი წუთით — მათ მიმართ, ვისმა სიბეცემ და სიმხდალემ, თუ ვერაგობამ არა, ჩვენს ხალხს 1989 წლის 9 აპრილის ამაზრზენი ტრაგედია დაატეხა თავს. პოზიცია ერის ამ ჯოჯოხეთური ვაების შესახებ მონაწილეებზე უსუსურ ლამენტაციებად როდი წარმოგვიდგენია, რაგინდარა ცრემლის მომგვრელი ემოციებით დაფერილად, არამედ მაშინდელი ბიუროს იმ წევრების უმკაცრეს პარტიულ პასუხისგებად, რომელთაც სრული პოლიტიკური დისკრედიტაცია განიცადეს, მაგრამ დღემდე პარტიის წევრებად ითვლებიან და „სახალხო დეპუტატების" სავარძლებიც უპყრიავთ საკავშირო პარლამენტში.

ჩემთვის, ისევე ალბათ, როგორც სხვათათვის, დღემდე უცნობია პარტიის ამგვარი პოზიცია ბაქოს, ვილნიუსის, ე. წ. სამხრეთ ოსეთისა და, რაც მთავარია, ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის მიმართ, როგორიცაა დამოკიდებულება იმპერიული „სამოკავშირეო ხელშეკრულებისადმი". თუ ეს აზრის სიღატაკის შედეგია, კიდევ აიტან როგორმე, მაგრამ თუ ეს გააზრებული სიჩუმეა?..

დასასრულ, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ საქართველოს კომპარტიის დამოუკიდებელი სტატუსი, რომელიც ჩემსა და მრავალ სხვათა (თუნდაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის ყოფილი პირველადი პარტიული ორგანიზაციის) კატეგორიულ პირობას წარმოადგენდა, ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას იმთავითვე ფიქციად მიაჩნდა, მოდურ შლიაგერად, მიამიტებისათვის რომ უნდა აეხვია თვალი. მხედველობაში მე იმდენად გახმაურებული ფინანსური ინექციები როდი მაქვს საკავშირო კომპარტიის მხრიდან (რაც ქართველ კომუნისტებს საწევრო ანარიცხები გვაქვს შეტანილი პარტიის ცენტრალურ ბიუჯეტში, იმის ნახევრის დაბრუნებაც კი კარგი შენაძენი იქნებოდა ქართული ეროვნული საქმისათვის), რამდენადაც სკპ ცენტრალური კომიტეტის ფარული ზედამხედველობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაზე. ჩემთვის, მაგალითად, ჭეშმარიტად ზარდამცემი იყო სკპ ცენტრალური კომიტეტის ორი პასუხისმგებელი მუშაკის, ასე ვთქვათ, ორი „რევიზორის" იდუმალი დასწრება ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ, ამასწინანდელ პლენუმზე. მით უფრო, როცა ჩემი განცხადება მათი „მობრძანების" პრობლემატურობის შესახებ მათვე თავხედურად შეაფასეს როგორც „პროვოკაცია", რადგანაც ეს არ შეესატყვისება, თურმე „ქართველი ხალხის განთქმულ სტუმართმოყვარეობას" (?!) აბსოლუტურად შეურაცხმყოფელი და დაუშვებელი იყო ჩემთვის ის მოულოდნელად გამომჟღავნებული ფაქტიც, რომ რამდენიმე ხნის წინათ სკპ ცენტრალური კომიტეტი რაღაც სერიოზულ დათმობებზე წავიდა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის ხიშბას წერილის შედეგად. ისე რომ, საჭიროდაც არ ჩათვალა **თუნდაც მხოლოდ ეცნობებინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის.**

და ეს ის ცენტრალური კომიტეტია, რომლის პოლიტბიუროს ყოფილმა წევრებმა, სულ ახლახან, „საბაზრო ეკონომიკაზე" გადასვლის გამო „პრივატიზაციის" ციებ-ცხელებით შეპყრობილებმა, 76 სახელმწიფო აგარაკი „გაითავისეს" მოსკოვის შემოგარენში — ბაზრულად, სასაცილო ფასებში, მთელი იმპორტული ავეჯითა და ჭურჭლეულით! (იხ. გაზ. „მეგაპოლის-ექსპრესი", №27, 1991 წ.).

კორუმპირებული „ელიტის" ესოდენ ურცხვი გადაგვარება, ვფიქრობ, თერმიდორიანულ ნუვორიშებსაც კი გააკვირვებდა. რომელ კომუნიზმზე, ზოგადსაკაცობრიო იდეალებზე, ეთიკასა და მორალზე შეიძლება საუბარი ამგვარ თაღლითებთან?

ყოველივე ზემოთქმული კატეგორიულად შეუძლებელს ხდის ჩემს დარჩენას, აღარც კი ვიცი ვის — საბჭოთა კავშირისა თუ საქართველოს — კომპარტიის რიგებში. ამიტომ ოფიციალურად ვაცხადებ, რომ ვიხსნი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის მოვალეობებს და გავდივარ კომპარტიიდან.

**ნოდარ ქიქაძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის დირექტორი, პროფესორი**

●

**მინაწერი: შემიძლია დავამშვიდო ბ-ნი გაიოზ ერაძე, „გამანადგურებელი" ფილიპიკით რომ მოგვმართა ამას წინათ, რომ „ათრთქლებას ამ დრომოჭმული უაზრობიდან", „დემაგოგიური მარაზმიდან", მე — „წითელი ტარაკანი" — სრულიადაც იმისათვის არ ვაკეთებ, რომ ვისმე თავი მოვაწონო. უბრალოდ, ჩემს მოქალაქეობრივ მოვალეობად მიმაჩნია საკუთარი თავისა და ჩემი მეგობრების, ჩემი ხალხის წინაშე. ცხადია, რომ მისთვის, რაც არ უნდა ვეცადო, დავრჩები „ერთგვარი გაღიზიანების ობიექტი არაგულწრფელობის ეჭვისა გამო". მინდა მხოლოდ მას, და უთუოდ სხვებსაც, შევახსენო რომ ეჭვს, როგორც მეტად არანაყოფიერ გრძნობას, არავისთვის მოუტანია სიკეთე ამ ქვეყნად. თავიდათავი მაინც ისაა, საქმემან ჩვენმან წარმოგვაჩინოს ჩვენ.**

## საზღვარგარეთ

# ზურგს უკან ახალი გარიგებაა

## ანუ ფულის დიპლომატია გრძელდება

[illegible]

... კვიპროსის პრობლემის არსს: კვიპროსის რესპუბლიკაში, რომლის მოსახლეობის 80 პროცენტი ბერძენია, ხოლო 20 პროცენტი თურქი, 1974 წელს მოხდა იატაკქვეშა ორგანიზაციის „ეოკა-2"-ის აჯანყება პოლკოვნიკ სამსონის ხელმძღვანელობით, რომელსაც კვიპროსის საბერძნეთთან ენოზისი (შეერთება) სურდა, ამის საპასუხოდ, კუნძულის თურქთა თემის დაცვის საბაბით, კვიპროსზე თურქეთის რესპუბლიკის ჯარე- [illegible]

... ლი მაგალითი, რომელიც უკანასკნელ პერიოდში მოსკოვისათვის დიპლომატიური ურთიერთობების ყველაზე ძლიერ იარაღად იქცა.

**გავიხსენოთ** „დიდი შვიდეულის" შეხვედრა ლონდონში. გორბაჩოვი დიდძალ ფულს ითხოვს, იმ მოტივით, რომ უსახსრობის გამო საბჭოთა კავშირი დაიშლება და ევროპის დემოკრატიას საბჭოთა სამხედროების მიერ დამიზნებული ბირთვული [illegible]

... ხეს, მაგრამ ახლა მოსალოდნელი ვაჭრობა განახლდება და, მოსალოდნელია, რომ იაპონიამ ფულის გადახდით მოახერხოს საკუთარი კუნძულების დაბრუნება. ფულის დიპლომატიაზეა აგებული ჩინეთ-ინგლის-პორტუგალიის ურთიერთობა ჰონკონგსა და მაკაოს შესახებ.

**როგორც** ჩანს, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები საუკუნის ბოლოს დემოკრატიისა და საერ- [illegible]

... ველთაგან ბინების გამოსყიდვით ხორციელდება, ხოლო მომავალში საქართველოს ისტორიული მიწების დაბრუნებაც მხოლოდ ფულის დიპლომატიის მეოხებით მოხერხდება. სხვა გზა ჯერჯერობით არ ჩანს.

**ზურაბ სიხარულიძე,**
**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" პოლიტიკური მიმომხილველი.**

# გამოფენა „მზიურში"

ამ დღეებში მოსკოვში, საქართველოს კულტურის ცენტრ „მზიურში", გაიხსნა მხატვარ თენგიზ მახარაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. გამოფენის მოწყობის ორგანიზატორები არიან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა მოსკოვში და საქართველოს სამუზეუმო-საგამოფენო გაერთიანება „ეროვნული სურათების გალერეა".

ავტორმა ფართო საზოგადოებას წარუდგინა ასამდე ნამუშევარი მინიატურის ჟანრში. ნამუშევართა მცირე ზომის მიუხედავად, მათი კომპოზიცია მრავალფიგურიანი და შეკრულია, ხასიათდება ფაქიზი კოლორიტით, დახვეწილი და დინამიკური ხაზებით.

თენგიზ მახარაშვილის მინიატურები უმთავრესად საქართველოს წარსულსა და აწმყოს ეძღვნება. ნამუშევრებში ასახულია ჩვენი ქვეყნის ისტორია და გამოჩენილ პირთა ცხოვრების ეპიზოდები („საქართველო კიდით კიდემდე", „თამარ მეფის დარბაზობა", „დავით აღმაშენებელი", „ქეთევან დედოფლის წამება", „ვახტანგ მეფე თბილისს მიემგზავრება").

შემოქმედი საზრდოობს აგრეთვე ქართული კლასიკური და ხალხური პოეზიით, ლეგენდებით. ესენია: „შენ ხარ ვენახი", „შვიდნი გურჯანელნი", „მოიტაცეს თამარ ქალი", „ვეფხი და მოყმე" და სხვა.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აგრეთვე ჟანრულ თემებს — „ძველი თბილისი", „მეხალიჩეები", „ოქრომჭედლები", „ქართული ქორწილი", „ქართული ჭიდაობა", „თბილისის ჭრელ აბანოში", „შემოდგომა კახეთში", ავტორი მინიატურაში თანამედროვე ცხოვრების გადმოცემასაც ახერხებს. ყურადღებას იქცევს მისი სიმბოლური ხასიათის კომპოზიცია „9 აპრილის ტრაგედია", „მუმლი მუხასა", ტრიპტიქი — „ღვთისმშობელი და საქართველო", „ენა, მამული სარწმუნოება".





ბოლო პერიოდში თენგიზ მახარაშვილი რელიგიური თემებით დაინტერესდა, რასაც მიეძღვნა ციკლი: „ქრისტეს ცხოვრება", „მარიამი ყრმით", „წმინდა ნინო საქართველოში", „წმინდა გიორგი". მინიატურები შესრულებულია ძირითადად ხის დაფებზე ტემპერითა და ლაქით. ეს მინიატურები საინტერესოა თავისი დიზაინური გადაწყვეტის სიახლითაც, მხატვარი ხშირად ჩარჩოდ იყენებს ქართული არქიტექტურული ძეგლების სილუეტს, რომელშიც ათავსებს თავის ფერწერულ კომპოზიციებს. ასეთებია „ვარძია", „თამარ მეფე", „ქორწილი", და ყველაფერი ეს, ერთად წარმოდგენილი „მზიურში", მინიატურის ჟანრში თენგიზ მახარაშვილის ათწლიანი მუშაობის შეჯამებაა.

**„საქართველოს რესპუბლიკის" კორ.**

• • •

**სურათებზე: „მეფე ვახტანგი და სულხან საბა ორბელიანი", „მონადირე".**

# რამდენიმე სტრიქონით

**დღეს** შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი ხელს მოაწერენ სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის ხელშეკრულებას. ამერიკელები თავიანთი ბირთვული არსენალის 3 ათას ერთეულს 25 პროცენტით შეამცირებენ, ხოლო საბჭოთა მხარე — 4 ათას ერთეულს 35 პროცენტით. ამას გარდა, ხელს მოაწერენ ავიაციისა და სამედიცინო დარგში სამრეწველო ავარიების თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებებს, მოსალოდნელია, რომ მხარეები განიხილავენ საბჭოთა კავშირში შექმნილ ვითარებას და ცენტრისა და რესპუბლიკების ურთიერთობას.

**ამერიკის** ადმინისტრაცია აპირებს უახლოეს მომავალში საუდის არაბეთს მიჰყიდოს 350 მილიონი დოლარის იარაღი. ადმინისტრაციის აზრით, ეს ღონისძიება საჭიროა იმისთვის, რომ საუდის არაბეთმა შეივსოს სპარსეთის ყურეში ომის შედეგად შეთხელებული არსენალი. ადმინისტრაციის ინიციატივა კონგრესმა უნდა დაამტკიცოს.

**კუბის** რევოლუციის ლიდერმა ფიდელ კასტრომ ენ-ბი-სის ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ „კუბის ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან მძიმეა. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას საფუძვლად უძევს ჩვენი ქვეყნისთვის მხოლოდ ნედლეულის უმნიშვნელო მოწოდებანი. შესაძლოა მოგვიხდეს გარდავქმნათ ჩვენი სატრანსპორტო მრეწველობა ველოსიპედების წარმოებისათვის, მაგრამ გვაკლია დიდძალი საშენი მასალა".

**ოცი** კაცი დაიღუპა და უამრავი დაშავდა ერაყის ჩრდილოეთში ერბილის პროვინციაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად. ბიძგების შედეგად ორ სოფელში დაინგრა ასამდე საცხოვრებელი სახლი. მიწისძვრა გამოიწვია ე. წ. არაბეთის ბაქნის ევროპის ბაქანთან შეხებამ.

**დღეისათვის** ქუვეითის აალებული 600 ნავთობის ჭაბურღილიდან ცეცხლი ჩააქრეს 252 ჭაბურღილში. იუწყებიან, რომ ცეცხლთან ბრძოლაში ჩაებნენ ირანის სახანძრო რაზმებიც.

**ცნობილმა** კუბელმა მყვინთავმა ხორხე მარიო გარსიამ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა თავისუფალი სტილით ყვინთვაში. მან ორ წუთსა და ოც წამში 58 მეტრის სიღრმეზე ჩაყვინთა. გარსიას განზრახული აქვს უახლოეს მომავალში ეს შედეგი 65 მეტრამდე გაზარდოს.

**დასავლეთ** კანადის პროვინციის სასკაჩევანის მთავრობამ უკრაინის საკითხების განსახილველად სპეციალური მრჩევლის პოსტი დააწესა. მრჩეველი რეკომენდაციას მისცემს პროვინციის მთავრობას თუ რა გზით გააუმჯობესოს ურთიერთობა უკრაინასთან.

**ალბანეთის** შეიარაღებული ძალები საბრძოლო მზადყოფნაში არიან მოყვანილნი, მაგრამ არ აპირებენ სახელმწიფო საზღვრის გადალახვას, განაცხადა ალბანეთის პრეზიდენტმა რამიზ ალიამ. მან გააშუქა იუგოსლავიაში შექმნილი ვითარება და აღნიშნა, რომ ამ სახელმწიფოს სამხრეთ რაიონებში სამხედრო კონფლიქტების გავრცელების საშიშროება არსებობსო, რაც საფრთხეს უქმნის კოსოვოს ალბანელ მოსახლეობას.

**განვითარებული** ქვეყნების მოსახლეობა ყოველ 30 წელიწადში წინა თაობასთან შედარებით ერთი სანტიმეტრით იზრდება, რაც მთელ რიგ სოციალურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს ჰქმნის. უკანასკნელ პერიოდში გერმანიის ენდოკრინოლოგიურ კლინიკებში ბევრი პაციენტი მიდის, რომლებსაც ზრდის შემცირება სურთ. კლინიკებში იღებენ მხოლოდ 185 სანტიმეტრის სიმაღლის გოგონებსა და 195 სანტიმეტრის სიმაღლის ვაჟებს. ამავე დროს ექიმთა ჩარევა სიმაღლეში ზრდას კი აჩერებს, მაგრამ ხელის მტევნისა და ფეხის ტერფის ზრდაზე არ მოქმედებს.

**შეერთებული** შტატების ქალაქ მილუოკში დააპატიმრეს 31 წლის ჯეფრი დახმარი, რომლის სახლში თერთმეტი ადამიანის გვამი იპოვეს. დახმარს მკვლელობის გარდა კანიბალიზმშიც დასდეს ბრალი.

**იორდანიის** პოლიციამ დააპატიმრა დივერსიული ტერორისტული ორგანიზაციის „ალაჰის მეომრების" წევრები. მათ უამრავი მკვლელობისა და ტერორისტული აქტის მოწყობაში ედებათ ბრალი. ისინი აპირებდნენ რამდენიმე სახელმწიფო მოღვაწისა და ერთი უცხოელი ელჩის მოკვლას.

**პერუს** ტერორისტულმა ორგანიზაციამ „სენდერო ლუმინოსომ" სამდღიანი „შეიარაღებული გაფიცვა" გამოაცხადა. ისინი იმუქრებიან, რომ სიცოცხლეს გამოასალმებენ ყველას, ვინც ამ დღეებში იმუშავებს. პირველ რიგში კი ეს ქალაქ აიაკუჩოს მცხოვრებლებს ეხებათ. „სენდერო ლუმინოსოს" წევრების მიერ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში თვრამეტი ათასი პერუელი იქნა მოკლული.

**სინჰუას** საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ ჩინეთში მიმდინარეობს პილოტირებული კოსმოსური გაფრენისათვის მზადება. რაკეტის გასაშვებად გამოიყენებენ რაკეტა-მატარებელს „დიადი ლაშქრობა III". მისი სიგრძე 31 მეტრამდეა. პირველი ორი საფეხური მყარ საწვავზე იმუშავებს, მესამე კი თხევადზე. ხომალდის სასარგებლო დატვირთვა ერთნახევარი ტონა იქნება, მაგრამ ახალი მონაცემების საფუძველზე იგი შეიძლება ორნახევარ ტონამდე გაიზარდოს.

**გავრცელებულ** შეხედულებას, რომ ჩინელები დაბლები არიან, ეჭვის ქვეშ აყენებს 23 წლის ჩინელი ქალიშვილი სან ტუიან ლინი. მისი სიმაღლე 2 მეტრი და 42 სანტიმეტრია, რაც ჩინეთის ეროვნული რეკორდია, როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს შორის. ჯერჯერობით კი 32 წლის პაკისტანელი მოჰამედ ალამ ტგანი სან ტუიან ლინს „ასწრებს". მისი სიმაღლე 2 მეტრი და 50 სანტიმეტრია.

# ოპტიკური კაბელის მშენებლობა

**ახალი** მსოფლიო საინფორმაციო რკალის ნაწილი უნდა გახდეს კავშირგაბმულობის სუპერთანამედროვე ჩქაროსნული ოპტიკური კაბელი, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ორ მთავარ ეკონომიკურ და ფინანსურ ცენტრს — იაპონიასა და სინგაპურს. 7.500 კილომეტრი სიგრძის ეს კაბელი გაივლის იაპონიიდან ტაივანის, ჰონკონგისა და მალაიზიის გავლით სინგაპურამდე. მისი მშენებლობა გაისად შემოდგომაზე დაიწყება მსოფლიოს 23 ქვეყნის 38 კომპანიის მონაწილეობით. ნავარაუდევია, რომ ოპტიკური კაბელი, რომელსაც ძალუძს უზრუნველყოს კავშირგაბმულობის 7.560 არხის შეუფერხებელი მუშაობა, მოქმედებას დაიწყებს 1993 წლის ივლისის დამლევს. წინასწარი შეფასებით, მისი მშენებლობა 330 მილიონი დოლარი დაჯდება.

შემდგომში იაპონია-სინგაპურის ხაზი შეუერთდება ოპტიკურ კაბელებს წყნარი ოკეანის სხვა რაიონებში, აგრეთვე ევროპაში მიმავალ კაბელს.

# სამი მგზავრი დაიღუპა

**სამი** მგზავრი დაიღუპა ხანძრის შედეგად, რომელიც საბჭოთა თბომავალ „მაქსიმ გორკიზე" გაჩნდა.

ტრაგედია მოხდა პარასკევს შპიცბერგენის ნაპირებთან გემის საკრუიზო რეისის დროს. ნორვეგიაში სსრ კავშირის საერთო წარმომადგენლობისაგან მიღებული ცნობების თანახმად, ხანძარი გაჩნდა ერთ-ერთ კაიუტაში, სადაც იმყოფებოდნენ ორი უცხოელი და საბჭოთა მოქალაქე. ეკიპაჟის ძალებით მოახერხეს ხანძრის ლოკალიზება. ხანძრის მიზეზებს ადგენენ.

„მაქსიმ გორკიმ", რომელშიც იმყოფება 600-მდე უცხოელი ტურისტი, დღეს დაასრულა შესვლა ნორვეგიის ხონინგსვოგის ნავსადგურში, სადაც დაღუპულთა ნეშტები გადასცეს საბჭოთა და უცხოეთის საელჩოთა წარმომადგენლებს.

## მამული





სულ სხვანაირად ხედავ მიწას შეუფერულს ან თვითმფრინავის ილუმინატორი დან. ნაცნობი ადგილებიც კი გეუცხოვება. ლამაზია მთაგრეხილებზედ შეფენილი სოფელი: მერცხლის ბუდესავით მოჩანს ზევიდან (პირველი სურათი); მეორე სურათზედ აღბეჭდილია შატილის კოშკები...

გონდო დადვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ადამიანები

### ცრემლიანი ბარათი ამერიკიდან

„...ჩემს ათეულ წელიწადზე მეტია, რაც უცხოეთის ცის ქვეშ ველოდი ამ ნანატრ დღეს. თვალები სიხარულის ცრემლით ამევსო, როდესაც შევიტყვე, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლმა ქართველმა ხალხმა საკუთარი ნებით აირჩია საქართველოს პირველი პრეზიდენტი — ბატონი ზვიად გამსახურდია. გილოცავთ ამ ისტორიულ მოვლენას", — ნათქვამია ბარათში, რომელიც ამერიკის ქალაქ ინდიანადან მიიღო ბორჯომის რაიონის სოფელ ჭობისხევის მკვიდრმა ანტონ მახარაშვილმა.

— ვგრძნობ, რომ ეს სტრიქონები ცრემლით აქვს დაწერილი ჩემს უფროს ძმას დიმიტრის, — აღელვებული გვეუბნება 76 წლის ჭობისხეველი მშრომელი გლეხკაცი, — სამშობლოს სიყვარულმა, მშობლიური სოფლის, ახლობლების მონატრებამ ლექსებიც დააწერინა ჩემს ძმას.

— ოცი წლის ჭაბუკი იყო მიტო, როდესაც იძულებული გახადეს სამშობლო დაეტოვებინა, — იგონებს ანტონი, — თვრამეტი სულისაგან შემდგარ ჩვენს ოჯახს ხუთი ძროხა და ძალიან სული ცხვარი ჰყავდა. ამის გამო მამა კულაკად გამოაცხადეს, მიტო მეცხრე კლასიდან დაითხოვეს. საბჭოთა ხელისუფლების სახელით მოვიდნენ პირუტყვის ჩამოსართმევად. მიტომ წინააღმდეგობა გაუწია და დააპატიმრეს. შემდეგ მოახერხა გაქცევა და საკირულ სერგო ზაუცლამვილთან ერთად თურქეთში გადავიდა. ეს 1930 წლის იანვარში მოხდა.

— თურქეთიდან ბიძაჩემი საფრანგეთში ჩავიდა, იქიდან კი — გერმანიაში. ფერმერი გახდა, დაოჯახდა, შემდეგ ამერიკაში დასახლდა. ეს ყოველივე ამ ცოტა ხნის წინათ გავიგეთ, მანამდე კი გაუგებრად ვოვლიდით, — მის საუბარს აგრძელებს შვილი, ჩითახევჯესის ინჟინერი ვახტანგი, — ომის წლებში ფერმერმა ბიძაჩემმა ორმოცდაათამდე ქართველი ტყვე გამოისყიდა, სიკვდილს გადაარჩინა. ზოგიერთმა მათგანმა მოგვწერა, მადლობის თქმა სურდათ...

ვკითხულობთ ამერიკიდან მიღებულ ვრცელ წერილს. ყოველ სტრიქონში სამშობლოზე მონატრებული კაცი სუნთქავს. ინდიანას შტატში დამკვიდრებულ, მატერიალურად ყოველმხრივ უზრუნველყოფილ, რვა ათეულ წელს გადაცილებულ დიმიტრი მახარაშვილს ერთადერთი სურვილი ჰქონდა: თუნდაც ერთი წუთით კვლავ იხილოს მშობლიური დაბაძეულის მიდამოები, დალიოს სოფლის წყაროს, ავლოს სამთო ხიდი ინდიანიდან ჭობისხევამდე, რომ ამერიკაში გაზრდილმა მისმა შვილებმა თამარმა, დავითმა, ანტონმა, შვილიშვილებმა, შვილთაშვილებმა შეუზღუდავად, ვიზის გარეშე, მოინახულონ მამის სამშობლო, სისხლით და ხორცით ნათესავები.

შეუძლებელია არ აღელვოს სამშობლოს სიყვარულით ნაწერმა დიმიტრი მახარაშვილის პოეტურმა სტრიქონებმა:

„სამშობლოვ, ჩემო სამშობლოვ,
სულის შემეკრული მხარეო,
რაც რომ მოგშორდი,
მას შემდეგ
ვერაფერით გავიხარეო...
გმირული საქმის ჩამდენო,
ალალ-მართალო მხარეო,
ბევრჯერ დაგცალეს
სისხლისგან,
სიცოცხლე გქონდა მწარეო".

თავისმა გამწარებულმა სიცოცხლემაც დააწერინა ეს სტრიქონები საბჭოთა ხელისუფლების მიერ კულაკის შვილად შერაცხულ, სამშობლოდან იძულებით გადახვეწილ კაცს, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა, სამშობლოს ოკუპაცია წითელი ჯარის მიერ მწარედ განიცადა ამ 70 წლის წინათ მშობლიურ სოფელ ჭობისხევში და ახლა კი, ამერიკის მიწაზე სიხარულით შეეგება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, პირველ დემოკრატიულ არჩევნებში ქართველი ერის ნების გამოხატვას.

— ასაკის გამო, ალბათ, უძნელდება პაპაჩემის ძმას — იგივე ჩემს პაპა დიმიტრის, ამერიკიდან საქართველოში გადმოფრენა, თორემ დღეს მას არავინ შეუშლის ხელს, — სინანულით ამბობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი თამრიკო მახარაშვილი, — როგორც კი შესაძლებელი გახდა, როდესაც დარწმუნდა, რომ მისი წერილები ახლობლებს ზიანს არ მოუტანდა (ვასაგები მიზეზების გამო), პაპამ დაამყარა თავისი დედ-მამიშვილებთან, ახლობლებთან კავშირი. „...ვაი დედასა, ამან უფრო გამიღრმავა ჭრილობა. ძმაო, ცოდვა არ არიან, რომ მახარაშვილები და რამდენი სხვა მისთანა ქართველები ამერიკელები იყვნენ?" — წერს იგი თავის უმცროს ძმას — ანტონს.

ვიმედოვნებ, უახლოეს ხანში შევძლებ ამერიკაში გადაფრენას და ჩემი ჭობისხეველი ამერიკელი პაპის გამხნევებას. მინდა ვაუწყო მას, რომ საბჭოთა ხელისუფლების უსამართლობის გამო უცხოეთში გადახვეწილ ქართველებს, რომლებიც ყველგან თავისი სამშობლოს ჭეშმარიტ პატრიოტებად დარჩნენ, დღეს გულში იკრავს დამოუკიდებლობისათვის, სრული თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველო, — დასძინა თამრიკომ.

**რობერტ ცუცქირიძე,**
**საქინფორმის კორ.**

## ჩემპიონატის წინ

### და არა მხოლოდ სპორტი...

**ცოტა** დროღა დარჩა 14 აგვისტომდე, იმ დღემდე, როცა ფოთში აღიმართება წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის ალამი. ამ დიდი სპორტული დღესასწაულის მოლოდინით ცხოვრობს ახლა ქალაქი ფოთი, და არა მარტო ქალაქი, სრულიად საქართველოც. რადგან, ფაქტობრივად, ფოთი — პირველი ქალაქია რესპუბლიკაში, სადაც უნდა გაიმართოს ასეთი რანგის შეჯიბრება. ეს იმავდროულად აღიარებაა საქართველოს რესპუბლიკისა, მისი ეროვნული სპორტისა, კოლხიდის ამ უძველეს მიწაზე თავს მოიყრიან არა მარტო ევროპის 15-ზე მეტი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები, არამედ სხვადასხვა ქვეყნის მრავალრიცხოვანი ტურისტები, საქმიანი ადამიანები, ბიზნესმენები, ამდენად, ცხადია, რა მნიშვნელობა ენიჭება მომავალ დიდ სპორტულ დათვალიერებას. აქ ჩამოსულებს საშუალება ექნებათ, თავად გაიცნონ საქართველო, ისილონ ქვეყანა, რომელიც სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების ძნელ გზას დაადგა. და ამ გაცნობაში თავისი ღირსეული სიტყვა უნდა თქვას ქართულმა კულტურამ, რომლის მთამბეჭდავი ნამზობი უფრო სრულ წარმოდგენას შეუქმნის სტუმრებს საქართველოზე, მის მრავალსაუკუნოვან ხელოვნებაზე, უმდიდრეს სპორტულ ტრადიციებზე, უძველეს კულტურასა და ცივილიზაციაზე და, რაც საგულისხმოა, ისინი გაიგებენ სიმართლეს საქართველოზე.

ჩემპიონატისათვის მზადების ცხარე დღეები აქვთ ქართული ხელოვნების ოსტატებს, ცნობილ რეჟისორს ლევან მირცხულავას, რომელიც ამზადებს ამ დღესასწაულის კულტურულ პროგრამას. მანვე შექმნა სცენარი, რომელსაც საფუძვლად დაედო ცნობილი ლეგენდა არგონავტებზე, კოლხიდაში რომ მოვიდნენ ოქროს საწმისისათვის. რეჟისორმა ეს თეატრალიზებული წარმოდგენა ჩაიფიქრა, რათა სტუმრებს უჩვენოს ის ისტორიული გზა, საქართველოს კულტურამ რომ გამოიარა უძველესი დროიდან დღემდე. თვითმყოფადი ქართული ხალხური ცეკვები და სიმღერები ამ ჩანაფიქრს დამაჯერებელ ხასიათს მისცემენ. დღესასწაულის თავისებური მუსიკალური საცნობარი გახდება პოეტ მორის ფოცხიშვილისა და კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის მიერ ამ შეჯიბრებისათვის და ჩვენი ესტრადის ცნობილი მომღერლისათვის თამარ გვერდწითელისათვის სპეციალურად შექმნილი სიმღერა. მომღერალი ამ შთამბეჭდავ სანახაობაში მედეას სიმბოლოდ მოგვევლინება, მუსიკალური მიძღვნა კი უამბობს მსმენელებს სამშობლოს სიყვარულზე, რომელიც ყველა გრძნობაზე უმაღლესია...

არგონავტების თემა მუსიკალურ გახსნას პოვებს ცეკვებში „ხორუმი", „ფარიკაობა", შემდეგ სახე გაცოცხლდება რევაზ გაბიჩვაძის ბალეტში „მედეა", რომელსაც შეასრულებს ჩვენი სახელოვანი მოცეკვავე ირინე ჯანდიერი.

ფოთში თავის ოსტატობას აჩვენებენ ეროვნული კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები — თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის გამოჩენილი მომღერლები და მოცეკვავეები, ქართული ესტრადის „მანსარდა", ახალგაზრდული როკ-ჯგუფები, თბილისის მე-3 ექსპერიმენტული სკოლის ცნობილი ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი თამაზ გოგოლაშვილის ხელმძღვანელობით. შეჯიბრების გახსნის საზეიმო ცერემონიაში დიდი ადგილი დაეთმობა ქართულ ხალხურ ცეკვას აკადემიურ ანსამბლ ნინო რამიშვილისა და თენგიზ სუხიშვილის ხელმძღვანელობით, თავის ხელოვნებას წარმოაჩენს თბილისის ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი მისი მთავარი დირიჟორის ვახტანგ მამაცაშვილის ხელმძღვანელობით... ეს მხოლოდ მცირე ნაწილია მონაწილეებისა, რომელთაც პატივი ხვდათ გამოვიდნენ ჩემპიონატის საზეიმო გახსნაზე. საქართველოს კულტურის სამინისტრო და რესპუბლიკის ფილარმონია ცდილობენ ფოთის კულტურულ პროგრამაში მონაწილეობა მიიღოს ქართული კულტურის რაც შეიძლება მეტმა და საუკეთესო წარმომადგენელმა.

მაგრამ ჩემპიონატის კულტურული პროგრამა მხოლოდ საზეიმო გახსნის კონცერტით როდი შემოიფარგლება. ჩემპიონატის დღეებში გაიმართება კონცერტები.

გათვალისწინებულია სპექტაკლები უჩვენოს თბილისის მარჯანიშვილის თეატრმა. სტუმრებს თავის ხელოვნებას გააცნობენ რესპუბლიკის მხატვრული კოლექტივები.

ასე რომ, აგვისტოს ეს კვირა ფოთში არა მხოლოდ დაუვიწყარი სპორტული სანახაობა იქნება, არამედ ქართული კულტურის მიღწევების ერთგვარი დათვალიერებაც.

**საქინფორმი**

## ხიდი

### საქართველოზე — სიყვარულით

**თბილისელებთან** სტუმრად არის ბულგარელი პოეტი ქალი, კომპოზიტორი და ფილოლოგი ვესელა ნესტოროვა. თავისი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მან საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დამდეგის ლიტერატურის შესწავლას მიუძღვნა. მან შექმნა კაპიტალური ნაშრომი „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკის ფილოსოფია", რომელიც ინგლისურ ენაზეა დაწერილი.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული ამბების მომსწრე ვესელა ნესტოროვამ დაწერა ლექსების წიგნი, რომელიც მრავალტანჯული საქართველოსადმი პოეტის უზომო სიყვარულით არის გამსჭვალული, ბულგარელ პოეტ ქალს აღელვებს მისი მომავალი. ვესელა ნესტოროვას ლექსები ქადაგებს საქართველოს მშრომელთა უკეთილშობილეს იდეალებს, რომელნიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობას ესწრაფვიან. წაიკითხავ მათ და მთელი გულით გახარებს ბულგარელი პოეტი ქალის ბრწყინვალე ნიჭი.

საქართველოში მოგზაურობისას მას თან ახლავს საქართველოს მკვიდრი, ბულგარეთის მოქალაქე, კრიტიკოსი და ფილოსოფოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ისტორიკოსთა საზოგადოების საპატიო წევრი ივანე ბიჩაძე.

ქართულ პრესაში ვესელა ნესტოროვამ გამოაქვეყნა ლექსების ციკლი ახალი წიგნიდან.

**ალა ალავიძე,**
**საქინფორმის კორ.**

## კრიმინალური ქრონიკა

# გარეშე მტერი რას დაგვაკლებდა, შინაური რომ არ გვღალატობდეს

**ბათუმი.** ჩვენი საშველი არ არის. აგერ უკვე მეორე წელიწადია ერი და ბერი საგანგაშო ზარს რეკავს, მაგრამ არა და არ ეშველა ჩვენს უპირველეს სატკივარს — კაცის კვლას. გასულ კვირაშიც რვა მკვლელობა მოხდა.

21 ივლისს ტრაგედია დატრიალდა გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთში. თავისი სახლის ეზოში ოჯახური შელაპარაკების დროს ვლადიმერ ასლამაზიშვილმა სანადირო თოფით მოკლა საკუთარი ვაჟი და რძალი.

ჩვენდა სავალალოდ, მკვლელობათა უმეტესობა ახლობელთა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ხდება. მაგრამ ამ კვირაში ორი ადამიანი ყაჩაღური თავდასხმის მსხვერპლი გახდა.

24 ივლისს საღამოს ექვს საათზე დაჭებით შეიარაღებული ოთხი ნიღბიანი ბოროტმოქმედი თავს დაესხა ქალაქ გორში, თამარ მეფის ქუჩა 72-ში მცხოვრებ 1919 წელს დაბადებულ ირაკლი მელაძეს. ყაჩაღებმა მოხუცს თავზე ჩამოაცვეს ცელოფანის პარკი, დააწვინეს საკუჭნაოში, გაიტაცეს 900 მანეთი ფული, სხვადასხვა ნივთები და მიიმალნენ. მელაძე კი ჰაერის უკმარისობის გამო გაიგუდა.

უველა მკვლელი დამნაშავეა ერისა და ღმერთის წინაშე. მაგრამ, როცა ამ უდიდეს ცოდვას ქართველი ქალი სჩადის, რა მოტივი და საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს საამისოდ, ორმაგი ტრაგედიაა. წარმოსადგენადაც კი შემაძრწუნებელია, ქართველი ქალი — მკვლელი. 20 ივლისს ღამით ქალაქ თბილისში „საქსოფლმანქანის" დასახლებაში მდებარე კოოპერატივ „ჩუქურთმის" შენობაში, ამავე კოოპერატივის მთავარმა ბუღალტერმა, 1970 წელს დაბადებულმა ნონა ჯინჭარაძემ შელაპარაკების ნიადაგზე პისტოლეტით მოკლა ამავე კოოპერატივის მომმარაგებელი გოჩა დიასამიძე. პისტოლეტი, რომლითაც კაცი მოკლეს, ეკუთვნოდა კოოპერატივის თავმჯდომარეს ვიქტორ ბურდულს. უფრო მეტიც, საშინაო საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილიდან, გარდა პისტოლეტისა, ამოიღეს კალაშნიკოვის სისტემის ავტომატის 64 ვაზნა და ერთი მჭიდი. წინა კრიმინალურ ქრონიკაში ვიუწყებოდით, რომ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკების ძალისხმევის შედეგად გახსნილ იქნა ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცების ყველა დანაშაული. მილიციამ დააკავა არაკაცთა რამდენიმე ჯგუფი.

ვიმედოვნებდით, მთელი საზოგადოების აღშფოთება, მილიციის ასეთი ოპერატიული და აქტიური მოქმედება დააფიქრებდა და ამ სამარცხვინო საქმეზე ხელს აალებინებდა იოლად გამდიდრების მოსურნეებს. მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ კატეგორიის ხალხისათვის არც ზნეობა არსებობს და არც კანონი.

21 ივლისს, ღამის 2 საათზე, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული სამი ნიღბიანი ბოროტმოქმედი თეთრი წყაროს რაიონის სოფელ წყლულეთში თავს დაესხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მებაღეობის ამხანაგობის ტერიტორიაზე მდებარე თენგიზ ჩიქობავას აგარაკს. აგარაკის პატრონსა და მის სამ სტუმარს იარაღის მუქარით მოსთხოვეს 100 ათასი მანეთი. თ. ჩიქობავა გაუშვეს ფულის მოსატანად. სტუმრები კი მძევლებად ჩაკეტეს აგარაკის შენობაში. მილიციის მიერ განხორციელებული ღონისძიების შედეგად მძევლები გაათავისუფლეს. სამწუხაროდ ბოროტმოქმედები მიიმალნენ, მაგრამ ვიმედოვნებთ, ისე როგორც სხვა მოძალადეები, ისინიც ვერ დაემალებიან მართლმსაჯულებას.

ამ მოსაზრების დასტურია ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს და მცხეთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკების მიერ ამ დღეებში ჩატარებული ოპერაცია.

22 ივლისს, დილის შვიდ საათზე, ქალაქ თბილისში მუხიანის დასახლებაში, მოქალაქე გულნარა ქსოვრელისაგან 300 ათასი მანეთის გამოძალვის მიზნით ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს მისი ქალიშვილი, სიძე და ორი შვილიშვილი. მილიციის მუშაკებმა დააკავეს თბილისელი რომან ჩაჩანიძე, რომელსაც აღმოაჩნდა კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი ორი მჭიდით და რვა საბრძოლო ვაზნით, მაკაროვის სისტემის პისტოლეტი 2 მჭიდით და 17 ვაზნით, აგრეთვე თვითნაკეთი დანა.

მისმა თანამონაწილემ ვლადიმერ ჯუღელმა დაკავების დროს მილიციას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია და მოკლეს. როგორც მკითხველისათვის არის ცნობილი, ფულის გამოძალვის მიზნით გატაცებული ადამიანის გამოხსნისას ქალაქ ხაშურში ასევე დახოცეს ორი ბოროტმოქმედი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ დღეებში საქართველოს ტელევიზიით გააკეთა განცხადება, რომ ყველა ბოროტმოქმედი, რომელიც დაკავებისას მილიციის მუშაკებს გაუწევს შეიარაღებულ წინააღმდეგობას და ამით საფრთხეში ჩააგდებს მათს სიცოცხლეს, ადგილზე იქნება მოკლული.

ასეთი, ერთი შეხედვით, მკაცრი ზომის მიღება აუცილებელი გახდა იმის გამო, რომ ავტომატებით, პისტოლეტებითა და ხელყუმბარებით კარგად შეიარაღებული ყაჩაღები არათუ არ ნებდებიან მილიციას, თავს ესხმიან კიდეც.

შეშფოთებას იწვევს დანაშაულობის ზრდა აჭარაში, კერძოდ ბათუმსა და ქობულეთის რაიონში. კრიმინოგენული თვალსაზრისით იგი ერთ-ერთი ყველაზე „ცხელი უბანია" საქართველოში. დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელთა გამომწვევ მოქმედებას საზღვარი არა აქვს. მაგალითად, 23 ივლისს ბათუმის ცენტრში, თავისუფლების გამზირზე დღისით, მზისით ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა მოქალაქე იამზე გოგიტიძეს ყურიდან ჩამოგლიჯა ბრილიანტისთვლებიანი ოქროს საყურე.

19 ივლისს, დილის ოთხ საათზე ხუთი შეიარაღებული ნიღბიანი ბოროტმოქმედი ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში თავს დაესხა ამ სოფლის ხილის გადასამუშავებელი ქარხნის საამქროს უფროსის კაკო გოგიტიძის საცხოვრებელ სახლს. ყაჩაღებმა ოჯახის უფროსს ცხელი უთოთი ზურგში მიაყენეს დამწვრობა და მოკვლის მუქარით წაართვეს 117 ათასი მანეთი ფული, ოქროს სამკაულები, ვიდეო და აუდიო აპარატურა და მიიმალნენ.

რესპუბლიკაში კვლავ იზრდება მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა. იმატა სახელმწიფო ქონების ქურდობამაც. გასულ კვირაში მოხდა პირადი ქონების 77 ქურდობა, სახელმწიფო ქონებისა — 20 ქურდობა.

ეკონომიკური ბლოკადის გამო საქართველოს მოსახლეობა განიცდის სასურსათო პროდუქტების ნაკლებობას. ეს დეფიციტი ახლო მომავალში ალბათ, უფრო გამწვავდება. ამიტომ, თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ აღებულ მოსავალს. მაგრამ ქურდბაცაცები არას დაგიდევენ რესპუბლიკისა და ჩვენი ხალხის გაჭირვებას.

დედოფლისწყაროს მილიციის მუშაკებმა ამ დღეებში გამოააშკარავეს მარცვლეულის ქურდობის ორი შემთხვევა, 21 ივლისს გამოავლინეს მექანიზატორი კობა მოდველი, რომელმაც ტრაქტორ „ბელარუსით" სოფელ კასრიწყლის მინდვრებიდან დაიტაცა 500 კილოგრამი ხორბალი, 21 ივლისს კი სოფელ გამარჯვებაში დააკავეს ადგილობრივი მკვიდრი თენგიზ პოპიაშვილი, რომელმაც მასზე გაპიროვნებული ავტომანქანით დაიტაცა 3200 კილოგრამი ქერი.

რაიმილიციის თანამშრომლებმა ამ კვირაში გამოავლინეს აგრეთვე დედოფლისწყაროს მეფრინველეობის ფაბრიკის მექანიკოსები ზაზა იმერლიშვილი და გივი მოგვერაშვილი, რომლებმაც დაიტაცეს 221 ფრთა ქათამი.

**საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.**

**საქინფორმი.**

## ხსოვნა

# მუდამ კეთილად მოსაგონარი

### აკადემიკოს ეგნატე ფიფიას დაბადების 90 წლისთავის გამო

**საქართველოს** რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ეგნატე კალისტრატეს ძე ფიფია ეკუთვნოდა იმ შესანიშნავ ადამიანთა პლეადას, რომლებიც თავიანთი დაუღალავი შრომითა და კეთილშობილური საქმიანობით ხალხის გულწრფელ სიყვარულს იმსახურებენ. ე. ფიფია იყო ბრწყინვალე მოქალაქე, უბადლო დასტაქარი, შესანიშნავი პედაგოგი, დაუშრეტელი ენერგიისა და შრომის უნარის მქონე ადამიანი. მან თავისი უზადო ნიჭისა და ტიტანური შრომის წყალობით საყოველთაო აღიარება მოიპოვა, როგორც ნამდვილმა შემოქმედმა, ბრწყინვალე ქირურგმა და მეცნიერმა. მისი მადლიანი მარჯვენა ათეული წლების მანძილზე ჯადოსნური სინატიფით ქარგავდა სიცოცხლის ბადეს და სნეულებისაგან დავრდომილთ ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხალისს უბრუნებდა. მადლიანი ხელი აქვს, ოქროს ხელი აქვს — ამ სიტყვებს ხშირად გაიგონებდით ჩვენი სახელგანთქმული დასტაქარის მისამართით. ეს არის ასობით გადარჩენილი სიცოცხლის სამადლობელი, რომელიც ე. ფიფიამ დაიმსახურა თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე.

აკადემიკოსმა ე. ფიფიამ განვლო საუკეთესო ქირურგიული სკოლა. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ჯერ პროფესორ ნ. კახიანთან, ხოლო შემდეგ აკადემიკოს გრ. მუხაძესთან. 1936 წელს იგი მიემგზავრება მოსკოვს, იწყებს მუშაობას მ. გორკის სახელობის საკავშირო ექსპერიმენტული მედიცინის პათოლოგიური ფიზიოლოგიის განყოფილებაში აკადემიკოს ა. დ. სპერანსკის ხელმძღვანელობით და ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „დაკბილული იოგის შენელებისა და ფუნქციის შესახებ". მოსკოვში ყოფნის ამ პერიოდს ე. ფიფია ნაყოფიერად იყენებს. იგი ეცნობა ქირურგიის იმ რთულ და გადაუწყვეტელ პრობლემებს, რომლებიც მუშავდება სკლიფასოვსკის სახელობის ინსტიტუტში პროფესორ ს. ს. იუდინის ხელმძღვანელობით. მათ შორის საყლაპავ მილზე რეკონსტრუქციული და სხვა სახის ოპერაციებს, რაც შემდეგ წარმატებით იყო შესრულებული მის მიერ საქართველოში. პროფესორი ს. იუდინი დიდად აფასებდა ე. ფიფიას და ჰქონდა მასთან საქმიანი ურთიერთობა. მედიცინის ამ კორიფეების კლინიკებში და შემდეგ დამოუკიდებლად მუშაობის დროს შეძენილმა მდიდარმა გამოცდილებამ, ვირტუოზულმა ოპერაციულმა ტექნიკამ, ნიჭიერებასა და შრომის სიყვარულთან ერთად, ე. ფიფიას დამსახურებულად მოუპოვა საქვეყნო სახელი.



იგი სამართლიანად ითვლება შემოქმედ ქირურგად. მართლაც, ყველა მისი ოპერაცია ჭეშმარიტად სრულყოფილი და შემოქმედებითი იყო. შესანიშნავი ორიენტაცია, ზუსტად განსაზღვრული მოძრაობანი და ფაქიზი ხელოვნების დონეზე ასული ოპერაციული ტექნიკა წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ჭეშმარიტად დიდია ე. ფიფიას, როგორც ქირურგის დამსახურება ხალხის წინაშე. რამდენი ასეული ავადმყოფისათვის შეუნარჩუნებია სიცოცხლე მის მადლიან ხელს, დაუბრუნებია შრომის უნარი და ცხოვრების ხალისი. ე. ფიფიას სახელი, როგორც სახელოვანი მკურნალისა და ქირურგისა, ცნობილია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

ე. ფიფიას გააჩნდა რთულ სიტუაციებში ჭეშმარიტების გარკვევის გასაოცარი უნარი, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მან ჯერ კიდევ ახალგაზრდამ თავიდანვე სწორად აუღო ალღო და დანერგა მკურნალობის ის მეთოდები, რომლებმაც შემდგომში ჰპოვეს საყოველთაო აღიარება. მან პირველმა საბჭოთა კავშირში თეორიულად დაასაბუთა და პრაქტიკულად დიდი წარმატებით განახორციელა ღვიძლის ამებური ჩირქგროვის დახურული წესით მკურნალობის მეთოდი და ამით მნიშვნელოვნად შეამცირა სიკვდილობის პროცენტი. მანვე ფართოდ დანერგა საქართველოში წყლულოვანი დაავადების ოპერაციული მკურნალობის რადიკალური მეთოდი — კუჭის რეზექციის სახით, დაასაბუთა სხვა სახის ოპერაციების ნაკლებ ეფექტურობა და ბრწყინვალე ქირურგიული ტექნიკით მინიმუმამდე დაიყვანა სიკვდილობის შემთხვევა ნაოპერაციებ ავადმყოფთა შორის.

დიდი ღვაწლი მიუძღვის აკადემიკოს ე. ფიფიას ნაღვლის გზების დაავადებების, პანკრეასის ზოგიერთი პათოლოგიის, ნაწლავების ფისტულების, პერიფერიული ნერვების დაზიანების, სისხლის ძარღვების პათოლოგიის (ანევრიზები), თავის ტვინის ტრავმული აბსცესების ქირურგიული მკურნალობის მეთოდების დახვეწის საქმეში. მის მიერ მოწოდებულია ორიგინალური მეთოდი, რომელიც მხრის წნულზე, ამ ანატომიურად მეტად რთულ მიდამოზე, თვალსაჩინო მიდგომის საშუალებას იძლევა. საყლაპავი მილის კიბოს ოპერაციული მკურნალობა, ჩვენში, საქართველოში, პირველად ე. ფიფიას მიერ იყო წარმატებით განხორციელებული და დანერგილი.

ე. ფიფია იყო არა მხოლოდ ბრწყინვალე ქირურგი, არამედ ფართო ჰორიზონტის მქონე სწავლულიც. მის კალამს ეკუთვნის 170 მეცნიერული შრომა, მათ შორის 5 მონოგრაფია. ამ შრომებში გაშუქებულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მედიცინის მნიშვნელოვანი საკითხები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ე. ფიფიას გამოკვლევები დაკბილული იოგის შენებისა და ფუნქციის შესახებ. ამ გამოკვლევების შედეგად მან, მსოფლიოში პირველმა, აღმოაჩინა დაკბილული იოგის ადსორბციული თვისება, მისი თავისებური დრენაჟული ფუნქცია და განსაზღვრა აღნიშნული იოგის როლი ცერებროსპინალური სითხის ცირკულაციაში. პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია აკადემიკოს ე. ფიფიას მიერ შესრულებული შრომები (6 შრომა) ექინოკოკოზური დაავადების შესახებ. ამ შრომებში მოცემულია იმ ვრცელი გამოკვლევების ღრმა ანალიზი, რაც წლების მანძილზე ტარდებოდა ე. ფიფიას მიერ და მისი უშუალო ხელმძღვანელობით.

დასტაქრის გამოკვლევებმა ექინოკოკოზური დაავადების შესახებ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამ დაავადების მკურნალობის სწორად წარმართვისა და მისი პროფილაქტიკის საქმეში.

სამამულო ომისა და მის შემდგომ პერიოდში აკადემიკოსი ე. ფიფია დაუღალავად ემსახურება დაჭრილთა და ომის ინვალიდთა მკურნალობის საქმეს. იგი მთელი თავისი ცოდნისა და მდიდარი გამოცდილების გამოყენებით უნარჩუნებს სიცოცხლეს და უბრუნებს შრომის უნარს სამამულო ომის ინვალიდებს.

ზემოაღნიშნულით არ ამოიწურება აკადემიკოს ე. ფიფიას მოღვაწეობა. მისი ხელმძღვანელობით დამუშავებულია 14 საკანდიდატო და 8 სადოქტორო დისერტაცია. მისი თანამშრომლების მიერ როგორც ქართულ, ისე რუსულ და უცხო ენებზე გამოქვეყნებულია მეცნიერული შრომები მედიცინის აქტუალურ პრობლემებზე. ე. ფიფიას ეკუთვნის 1949 წელს ქართულ ენაზე გამოცემული კერძო ქირურგიის სახელმძღვანელოს რამდენიმე თავი, ხოლო მისი „კლინიკური ლექციები" სამაგიდო წიგნად იქცა სტუდენტებისა და ახალგაზრდა ექიმებისათვის. ფასდაუდებელია ე. ფიფიას პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი იყო საუკეთესო აღმზრდელი, მზრუნველი და მოამაგე მასწავლებელი, მის საინტერესო, ღრმა შინაარსიან ლექციებს უდიდესი ინტერესით ისმენდა სტუდენტებითა და ექიმებით სავსე აუდიტორია.

ე. ფიფია ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მუშაობას, იგი წლების მანძილზე იყო აკადემიკოს გრ. მუხაძის სახელობის თბილისის ქირურგიული საზოგადოების თავმჯდომარე, ქირურგთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის წევრი, რამდენიმე სამედიცინო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი, დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის თანარედაქტორი და სხვადასხვა სამედიცინო საზოგადოებების საპატიო წევრი. 1969 წელს ე. ფიფია აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 1977 წელს ნაშრომთა ციკლისათვის „კუჭის პათოლოგიის პრობლემები" საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

იხსენებ აკადემიკოს ე. ფიფიას პიროვნებას, მის მიერ განვლილ შემოქმედებით გზას და ძალაუნებურად გაგონდება დიდებული გოეთეს უკვდავი სტრიქონები: „ქირურგი თავს სწირავს მარტოოდენ ღვთაებრივ საქმეებს, კურნავს საოცრების გარეშე და ახდენს საოცრებას ხოტბის გარეშე".

ამბობენ, უკვდავი სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ იწყებაო და თუ ეს ასეა, ჭეშმარიტად უკვდავია მუდამ კეთილად მოსაგონარი ადამიანის სახელი.

**აკაკი თელია**

**პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი**

## სხვადასხვა

### ვალუტა შეგიძლიათ იყიდოთ

**24 ივლისიდან** საგარეო-ეკონომიკური ბანკი, კომერციული ბანკები „ივერიაბანკი" და „ქართლი" აწარმოებენ მოსახლეობისაგან ვალუტის შესყიდვის და იმ პირებისათვის ვალუტის მიყიდვის ოპერაციებს, რომლებიც საზღვარგარეთ მიემგზავრებიან კერძო ან ტურისტული ვიზით.

— ეს სიახლე, — თქვა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კიმ სვანიძემ, — განხორციელდება ამ ბანკებისთვის ჩვენ მიერ მიცემული ლიცენზიების საფუძველზე, რესპუბლიკაში არსებული სავალუტო კრიზისის გათვალისწინებით. ერთი დოლარის თავდაპირველი ფასი იქნება 32 მანეთი, ამასთანავე ეს ციფრი შეიცვლება ეგრეთ წოდებულ „შავ" ბაზარზე ფასების შესაბამისად იმ მიზნით, რომ გარკვეულწილად ზემოქმედება მოახდინოს ამ ნეგატიურ პროცესზე. დროთა განმავლობაში ამ საბანკო ოპერაციათა განხორციელების მექანიზმი გამარტივდება, როგორც ხდება ეს ცივილიზებული ქვეყნების ბანკებში.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**საქინფორმის კორ.**

### ვაჩუქოთ პატარებს სიცოცხლე!

**ასოციაცია** „ბავშვებს — სუფთა პლანეტა" და სრულიად საქართველოს ღვთისმშილთა კავშირი მოგმართავთ ყველას, ვისაც შეგიძლიათ თუნდაც მცირე ფინანსური წვლილი მაინც გაიღოთ ცხრა წლის

**თამარ იოგაიას**

გამოჯანმრთელებისათვის.

პატარა თამარი დაავადებულია ერთ-ერთი უმძიმესი სნეულებით — ბავშვთა ცერებრალური დამბლით და საჭიროებს საზღვარგარეთ მკურნალობას.

გთხოვთ, შემოწირული თანხა (ვალუტით ან მანეთობით) ჩარიცხოთ შემდეგ ანგარიშზე:

ა/ა 904 400 41, საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ბანკი, კოდი 805 227.

წინასწარ გმადლობთ თანადგომისათვის!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

* * *

სრულიად საქართველოს ღვთისმშილთა კავშირი იუწყება, რომ ქუთაისის მკვიდრ 12 წლის გოგონას

**ირმა ბარაბაძეს,**

რომელსაც აქვს ხერხემლის მოტეხილობა, ესაჭიროება საზღვარგარეთ, კერძოდ, საფრანგეთში მკურნალობა, რისთვისაც სასწრაფოდ აუცილებელია დიდძალი თანხა, დაახლოებით ორასი ათასი მანეთი.

ღვთისმშილთა კავშირი მოგმართავთ ყველას, განსაკუთრებით კი წარმოება-დაწესებულებათა, კოოპერატივების, ფირმებისა თუ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ჩარიცხოთ შემოწირულობანი შემდეგ ანგარიშზე: № 000 700 804, ქუთაისის მრეწვმშენბანკი, მ.ფ.ო. 52 18 57.

წინასწარ გმადლობთ თანადგომისათვის!

ღმერთი გფარავდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

**ღვთისმშილთა კავშირის პრესცენტრი.**

### განცხადება

**თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში**

**სამართალმცოდნეობის** სპეციალობაზე ჩარიცხვის მიზნით უმაღლესი განათლების მქონეთა განცხადებების მიღება მთავრდება 1991 წლის 4 აგვისტოს.

განცხადება მიიღება თბილისის უნივერსიტეტის II კორპუსში იურიდიულ ფაკულტეტზე 10 საათიდან 14 საათამდე.

**რექტორატი.**

### გასწორება

**ჩვენი** გაზეთის 1991 წლის 30 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში — „სასოფლო-სამეურნეო, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთათვის ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის გამო" — კომისიის წევრთა შემადგენლობას უნდა დაემატოს: ნოდარ ჯავახიშვილი — საქართველოს რესპუბლიკური ბანკის მმართველის მოადგილე.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 64434

საქართველოს რესპუბლიკა